

# დემოკრატიული საქართველო

La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

SEPTEMBRE

1932—№ 81

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

## მ ი ნ ა ა რ ს ო :

მეთაური—მეორე დღეს.  
გიორგი ვაჩავა—კავკ. საკითხი ამტ. კონგრესზე.  
რ. ინგილა—სმენისა და გაგონებისათვის.  
Louis Le Fur—საქარ. და საერთაშორ. უფლება.  
კაქი—რუსეთის რევოლუცია.

ს. ფ.—ილია ჭავჭავაძე თავის პოეზიაში.  
ეროვნული მოძრაობა მაკმადიანთა შორის.  
საქართველოს ამბები.  
კავკასიაში.  
უკრაინელთა შორის და სხ.

## მ ე ო რ ე ლ ე მ ს

ეს ერთი ხანია რუსეთის მენშევიკები კამათობენ იმაზე, თუ რა იქნება ბოლშევიკების დამხობის მეორე დღეს, ან უკეთ—რა უნდა დარჩეს მათი «ამშენებლობიდან», როგორც «პროგრესიული», და, მაშასადამე, ღირსი შენახვისა და განვითარებისა.

დამწყები კამათისა დანი ასე მსჯელობს: ბოლშევიკებმა თავის ხუთწლით, ნაცვლათ სოციალიზმისა, საძირკველი ჩაუყარეს სახელმწიფო კაპიტალიზმს, მათმა ინდუსტრიალიზაციამ და კოლექტივიზაციამ დააგროვა სახელმწიფოს ხელში წარმოების და საწარმოო ძალთა სამი მეოთხედი; მართალია, ეს გარდაქმნა ჩვენთვის მიუღებელ ძალადობის ნაყოფია, მას შეეწირა და ეწირება უამრავი მსხვერპლი სისხლით და ოფლით, მაგრამ ეს კიდევ არაა საბუთი უარყოფით მისი პროგრესიული მხარე—სახელმწიფო საკუთრების უმეგალითო ზრდა და თითქმის მთელი ხალხის საერთო წარმოების ფერხულში ჩაბმა; ერთი პირობაა საჭირო, რომ მთელი ეს სოციალ-ეკონომიური პროცესი ქვეყნის საკეთილდღეოთ დამთავრდეს—დღევანდელი ტირანიის დემოკრატიით შეცვლა; და თუ დემოკრატია გაიმარჯვა, მაშინ წარმოების მთელი დარგები, როგორც ქალაქში ისე სოფლად—კოლხონები თავისუფალ კოოპერაციად გარდაქმნილი—, მის ხელში დარჩება ფაქტიურათ, და სახელმწიფო კაპიტალიზმი სოციალიზმის პირველ საფეხურად იქცევა მომავალში, განსაკუთრებით, როცა დაწინაურებულ ქვეყნების პროლეტარ-

ატი ძალაუფლებას ხელთ იგდებს და შეუდგება, გაცილებით უკეთეს პირობებში, თავის იდეალის განხორციელებას.

დანს გამოედგვა აბრამოვიჩი და უკანასკნელს ბერლინის ჯგუფის უმრავლესობა გვერდში ამოუდგა. რას გვიქვია სახელმწიფო კაპიტალიზმი რუსეთის ჩამორჩენილ პირობებში—ამბობენ ისინი—, ეგ ხომ ოტო ბაუერის ფანტაზიების განმეორებაა, რომელიც გვირჩევს ხელი ავუშვათ ბოლშევიკებთან ბრძოლას და ვეცადოთ მათი ეკონომიური «მიღწევანი» დემოკრატიზაციით დავაგვირგინოთ; არა, ბოლშევიკების ძალმომრეობამ ვერ აღმოფხვრა ხალხში კერძო საკუთრების სტიქია, ის მხოლოდ ძალათ ჩააბეს საერთო წარმოების ფერხულში და უცდის მოხდენილ წუთს, რომ სახელმწიფო კაპიტალიზმი ყირამალაზე დააყენოს და შეუდგეს კერძო კაპიტალიზმის აღდგენას; ჩვენ არაფერი გვაქვს წინააღმდეგი, რომ ზოგიერთი დარგი, როგორც წინეთ. სახელმწიფოს ხელში დარჩეს, არც თავისუფალ კოოპერაციას ვებრძვით, მაგრამ სადაც ესკი არ არის, არამედ რა იქნება მომავალში მეურნეობის ღერძი, სახელმწიფო თუ კერძო კაპიტალიზმი, და ჩვენ უკანასკნელს ვანიჭებთ უპირატესობას.

დავაში ჩაერთა, როგორც მოსალოდნელი იყო, პატრესოვის ჯგუფი პარიზიდან. კეთილი და პატიოსანი—ამბობს ის—თქვენ დაობთ ბოლშევიკების მემკვიდრეობაზე, მაგრამ სადაა საბუთი მათი მემ-

კვიდრე თქვენ გახდებით, ან უკეთ—საიდან გამოვ-  
ყავთ, რომ მათ შემდეგ დემოკრატია დამყარდება?  
არას დროს და არც ერთ ქვეყანაში არ ყოფილა უა-  
რესი პირობები ასეთი პერსპექტივებისათვის; ხალ-  
ხის დიდ უმრავლესობას—გლეხობას არა თუ ვერ  
გააკონებთ სოციალიზმს, რომლის სახელით ის მიწა-  
სთან გაასწორეს, არამედ მუშებიც, ქალაქი საზოგა-  
დოთ მას დასანახავათ ეჯავრება; მუშების ერთი ნა-  
წილი გაირყვნა ვერ. წოდ. დიქტატურით, მეორე და  
უმეტესი ნაწილი უმწეოა და სილატაკეში ლაფავს  
სულს; ნეთუ არ გესმით, რომ სტალინის გენერალუ-  
რი ხაზი გაკოტრდა, და თუ კიდევ არის რამე პერსპე-  
ქტივი—ეს მხოლოდ მისი დიქტატურის სამხედრო  
დიქტატურით შეცვლა, რომელიც დღევანდელ ტი-  
რანიასთან შედარებით ნაკლები ბოროტება იქნება.

ჩვენ უფრო შორს ვერ გავყვებით ამ კამათს, რა-  
დგან ვშიშობთ, ის ჩქარა უსავანო გახდება: მართლაც,  
როცა დანმა იწყოს ძველი ნაროდნიკული უტოპიის  
გამომხეურება, სტალინს უკვე გადაწყვეტილი ჰქონ-  
და თავის გენერალურ ხაზის გადასინჯვა, და ამას  
კიდევ მოჰყვა მთელი რიგი დეკრეტებისა კერძო  
ვაჭრობის აშვებზე, ფრინველის და მეწველ ცხოვე-  
ლის კოლექტივიზაციის აკრძალვაზე, ხელოსნურ  
მრეწველობის ნებადართვაზე... დაბოლოს გაისხენეთ  
უკანასკნელი დეკრეტი კოლხელების არსებულ სახ-  
ლვრებში ჩაკეტვაზე, ე. ი. ძველი რუსულ თემის აღ-  
დგენაზე. დეკრეტი არ ხუმრობს, კოლხეების მიწა-  
წყალი თქვენი საკუთრებაა—ეუბნება ის შიდ მამ  
წყვედულ გლეხებს—ვერაგინ შემოვა კოლხეობაში  
თქვენ ნებადართვლათ, და ვინც გავა, ის ჰკარგავს  
თავის მიწასა.

ჩვენ არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ლიკვიდაცია  
ამით გათავდა, პირიქით, ის წარმოებს და იწარმოებს  
სტიქიურათ—თავდება სიმშობის «ბუნტები»—მა-  
ნამდ, სანამ ბოლშევიკების ბუშტის კოშკებიდან  
ბევრი არაფერი დარჩება არც სახელმწიფო და არც  
კერძო კაპიტალიზმისათვის.

როგორც ხედავთ, კითხვა ეხლა სხვანაირათ ის-  
მის. ვინემ რუსის მენშევიკებს ჰკონიათ, მაგრამ საი-  
ნტერესოა ვიცოდეთ, როგორ ვუდგებით ჩვენ თვი-  
თონ, არა რუსნი, ამ კითხვას.

რუსეთის მენშევიკები ლოდიკას არ ლალატობენ,  
თუმცა პერსპექტივებში ცდებიან, როცა აყენებენ  
რეჟიმის კითხვას. მათი უპირატესობა სწორეთ იმა-  
შია, რომ არ ადარდებთ ეროვნული დამოუკიდებ-  
ლობა, არ გმინავენ უცხო ულის ქვეშ და აქედან  
ყველა კითხვები შინა-პოლიტიკის ფარგლებში წარ-  
მოუდგებათ მათ.

სულ სხვაა არარუს ერთა მდგომარეობა. რეჟიმი  
მათ არა ნაკლებ სტანჯავს, რა თქმა უნდა. მაგრამ  
მისი სათავე შინა-პოლიტიკის სფეროში კი არ უნდა  
ვეძიოთ, არამედ უცხო ძალთა მიერ მათი ტერიტო-  
რიის დაკავებაში; რეჟიმი მათ გარედან მოახვიეს  
თავს და აქედან მისი მოსპობა დაკავშირებულია  
ოკუპაციის მოხსნასთან. ნათელია, მაშასადამე, რა-  
ტომ ანიჭებენ ისინი უპირატესობას ეროვნულ და  
არა სოციალ-ეკონომიურ საქმიანობას.

ან კიდევ სხვა სიტყვებით, საქართველოს, ისე  
როგორც სხვა ჩაგრულ ერთა კითხვა, უწინარეს ყო-  
ვლისა, საერთაშორისო კითხვაა; რეჟიმის კითხვა  
იმდენათაა აქ მოსატანი, რამდენათ ის ამხელს, აშუ-  
ქებს ოკუპაციის სიდუხჭირეს, სივერაგვს. თავი და  
თავი ის კი არაა გვწადია თუ არა ჩვენ შინაურ საქმე-  
ებზე ვიზრუნოთ. არამედ ისა, რომ სულაც არ გვაკა-  
რებენ მათ, გვხდიან ობიექტად. გველობენ, გვატო-  
ნებენ.

ვსთქვათ, რეჟიმი გამოკეთდა, ბოლშევიკებმა  
ნამდვილი სოციალიზმიც კი დაგვიმყარეს! რა იცე-  
ლება ამით? არაფერი. ცხადია, რადგან უცხო უღელი  
კიდევ უფრო აუტანელი გახდებოდა ჩვენთვის. მაგ-  
რამ თვით ეს დაშვებაც აბსურდია თავის თავთ: სად  
სოციალიზმი, სად ბოლშევიკური ძარცვა-გლეჯა! და  
სოციალიზმიც ხომ ერთა თავისუფლებას გულის-  
ხმობს, მაშასადამე, უცხო უღელზე ბაასი შეუსაბა-  
მოცაა ამ შემთხვევაში.

ამ რიგათ, მაშინ როდესაც რუსები შინაურ ტი-  
რანიის მოსპობაზე ზრუნავენ, ჩვენ, არარუსნი, უცხო  
ტირანიის გადაგდებაზე ვზრუნავთ. რა თქმა უნდა,  
ჩვენც გვანტერესებს რეჟიმი, როცა ჩვენი ქვეყანა  
თავისუფალი გახდება, როცა ერი თვითონ გახდება  
თავის ბედის გამომწყვდი, უზენაეს უფლების მატა-  
რებელი.

მაგრამ ნუ დაივიწყებთ, უცხო ბატონობა რეჟი-  
მია თავის თავთ, ოკუპაციის რეჟიმი, ერის ღირსე-  
ბის ამხდელი, მის სარჩო-საბადებლის მიშთვისებე-  
ლი, მის წმინდათა წმინდის შემბილწველი, ქვეყნის  
კოლონიად მკცველი. წინა ნომერში მკითხველი გა-  
ეცნო, როგორ ეჯიბრებიან ერთმანეთს არამზადა  
ფილიპე მახარაძე და ჩეკისტი ბერია ქვეყნის ახბრე-  
ბის მხილებაში. ძველი მეურნეობა დაანგრიეს, ახა-  
ლი ვერ ააშენეს და გლეხობა, კალაპოტიდან ამო-  
გდებული, ვერ ახერხებს, ძალიანაც რომ უნდოდეს,  
თავის გამრჯელობის ნაყოფიერათ გამოყენებას.

აი რაა, თუ გნებავთ, უპირველესი საზრუნავი,  
როგორც ქვეყანა განთავისუფლდება: გლეხობა უნდა  
ჩაყენებულ იქნას თავის კალაპოტში. ეს არ იქნება

კოლხოზი; კერძო საკუთრება—მეურნეობა ჩვენი გლეხისთვის იგივეა, რაც წყალი თევზისათვის. მაგრამ თავისუფალი კოლპერაციაც იარსებებს მის გვერდით, განსაკუთრებით მოწეულის გასაყიდათ, მოსახმარ საგნების საყიდათ, დიდფასიან მანქანების კოლექტიურათ შესაძენათ და სხ.

რაც შეეხება მრეწველობას, განა ბევრი რამ გააკეთეს ბოლშევიკებმა, რომ ამაზე ლაპარაკი ღირდეს? ყოველ შემთხვევაში, საყოველთაო საქირობის ზოგი დარგი სახელმწიფოს ხელში დარჩება, სხვები კერძო თაოსნობას დაუბრუნდება, ან მთლათ ვაჭრება. ვაჭრობა, ხელოსნობა აღდგენილი იქნება...

ჩვენი განზრახვა არ იყო ამაზე შევჩერებულიყავით, თორემ პირველ ყოვლისა ჩვენი ქვეყნის კონსტიტუცია უნდა გვემოწმა, რადგან მომავალი რეჟიმის განსაზღვრა იქ მოიპოვება. ამას ხშირათ იგიწყებენ, სამწუხაროთ, ემიგრაციაში. ბევრია ისეთები, ვინც სულაც არ იცნობს ამ ჩვენს ხარტიას, ქართველმა ერმა სუვერენულათ თავის თავს რომ მისცა. აქ დანიხვენ იმასაც, მაგალითათ, რომ სახელმწიფო დიდ როლს თამაშობს ქვეყნის მეურნეობაში, და, მათსადამე, დაწინაურებულ ქვეყნების დღევანდელი მიდრეკილება ზევიდან წარმართულ მეურნეობისაკენ

(économie dirigée) მისთვის უცხო ხილი არ არის.

თქმულიდან დასკვნა ადვილია. სანამ ბოლშევიკების დამხობის მეორე დღეზე ვიწყებთ ზრუნვას, საქიროა ჯერ უცხო რეჟიმის გადადგებაზე ვიზრუნოთ. ამ მიზნის მისაღწევათ საქიროა ერთსულოვნება. ხოლო «მეორე დღე» შეიძლება ერთნაირათ არ გვესმოდეს სხვადასხვა პარტიებს და მასზე უდროო კამათი მხოლოდ ავნებს ჩვენს მთლიანობას, საერთო ეროვნულ ფრონტს.

საბჭოთა კავშირში საყოველთაო ნგრევის პროცესი უკვე დაწყებულია, ჩვენ ვიტყვით—გათავებულნი, მხოლოდ დარჩა გაშიშვლებული ტლანქი ძალა, ერთის მხრით, და დამშეული უიარაღო ხალხი, მეორეს მხრით. ბრძოლა მათ შორის უკვე წარმოებს, უთანასწორო, სავალალოთ, მაგრამ ვინ იცის, ტლანქი ძალაც ხომ გლეხებისა და მუშებისაგან შესდგება, გაუძლებს მისი მორალი ამ საზარელ სურათს? საეჭვოა. ესაა სათავე ყოველი რევოლუციისა.

გარეთ, საერთაშორისო ასპარეზზე დიდი და საგულისხმეიერო ამბები მზადდება, რომელიც უშედეგოთ არ ჩაივლის არც საბჭოთა კავშირისა და მასში მომწყვედულ ერებისთვის.

მამ ყველანი თავ-თავიანთ სადარაჯოვნედ!

### კავკასიის საკითხი ამსტერდამის კონგრესში

27 აგვისტოს გაიხსნა ამსტერდამში ეგრედ წოდებული «მსოფლიო კონგრესი იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ».

ეს კონგრესი მოწვეულ იყო საბჭოთა რუსეთის მიერ, რა თქმა უნდა, თავის მიზნების მისაღწევად. ეს მიზანია: დაცვა და განმტკიცება რუსეთის იმპერიალიზმისა.

გიორგი გვაზავამ, როგორც დღევანდელმა კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტისამ, ამ კონგრესში შემოიტანა შემდეგი განცხადება:

«1918 წელს, კავკასიის ერებმა: საქართველომ, აზერბეიჯანმა და მთამ—გამოაცხადეს თავიანთ თავისუფლება და შეჰქმნეს დამოუკიდებელი სახელმწიფონი, მოკლე დროში მათ მოაწყვეს ეროვნული და სოციალური ცხოვრება, შეჰქმნეს საქირო პირობანი ადამიანის შემოქმედების განვითარებისათვის და გააღწევეტილად დაადგნენ იმ გზას, რომელიც გარკვეულია ევროპის ერთა დემოკრატიული მოძრაობით. კავკასიის ყველა ერებს, რომელთა დამოუკიდებლობა უკვე ცნობილი იყო უცხო ქვეყნების მიერ, ჰქონდათ ერთი სურვილი: შეექმნათ კავკასიაში ერთი კონფედერატიული სახელმწიფო და ნამდვილი დემოკრატია ორი კონტინენტის ჯვარედინზე,—რაც

უწყველად უპირველეს როლს ითამაშებდა მშვიდობიანობის დაცვის საქმეში და მსოფლიო ეკონომიკის სწორ წონაობაში.

მაგრამ რუსეთის ბოლშევიკები აღმოჩნდნენ მეტისმეტად ერთგულნი ცარიზმის მიერ ნაანდერძვე დაპყრობის და ბატონობის სულისა; მათ ასტეხეს იმპერიალისტური ომი კავკასიის რესპუბლიკების წინააღმდეგ: შემოესივნენ მთას, დაანგრეეს აზერბეიჯანი და წაპლევეს საქართველო.

ამ დღიდან, აგერ უკვე 12 წელიწადია, კავკასია განუწყვეტელ ომშია ჩაბმული შემოსეულ მტრის წინააღმდეგ.

მე უფლებამოსილი ვარ განვაცხადო, რომ კავკასიის ერები არ დაპყრიან იარაღს და არ შესწყვეტენ თავგანწირულ ბრძოლას, სანამ იქ ბოლო არ მოეღება საბჭოთა იმპერიალიზმის ბატონობას.

გიორგი გვაზავა

დღევანდელი კავკ. დამ. კომიტეტისა.

ეს განცხადება 29 აგვისტოს გამოაქვეყნეს ამსტერდამის გაზეთებმა და რეიტერის სატელეგრაფო სააგენტომ გადასცა ევროპის ყველა დიდ გამოცემებს.



სმენისა და გავრცელებისათვის

არის საკითხი, რომელიც დღემუდამ თანაგდევს და რომელსაც ვერსად გავექცევით, ვიდრე რუსის უღელ ქვეშ მყოფ სამშობლოს განთავისუფლების მსახურთა შორის ვირიცხებით და გვჯერა, რომ მალე, უფრო ადრე, ვიდრე ზოგსა ჰგონია, საქართველოს ცას ნისლი გადაეყრება და არემარეც შესხვადფერდება.

ახალი არ არის ეს საკითხი, იგი იმდენივე ხნისაა, რამდენსაც ითვლის ჩვენი ქვეყნის ახალი ტყვეობა. ეხება ის საქართველოს არსებობას, «რამდენადაც მისით მტერი დაიძლევა, უმისოთ—კი მტრის თარეში გაგრძელდებოდა და დაბეჩავებულ ერს სამარის ლოდი უფრო მიიმედ დააწვება.

რა სახისა და შინაარსის უნდა იყოს ჩვენი დაპირისპირება მტერთან, იმის დამოუკიდებელივ, თუ როგორ აღმოფხვრება მისი ბატონობა—ჩვენის უნარიოთა, თუ სხვა რაიმე საშუალებათა და ძალთა გამოისობით? მოკლეთ, ერთბამად შემტკიცებულნი უნდა იყოს ქართველი ხალხი შემოსეულთა წინააღმდეგ, თუ კერძოთა და დაქსაქსებით ჰმრეტადვდეს გამარჯვების შესაძლებლობათ?

შიში მაქვს მოსაბეზრებელ შეყებებში ჩამომერთვას ქვემოთ სტრიქონები, რადგან ამ საგანზე ქართულ ემიგრანტულ გამოცემებში არაერთგზით დაწერილა და არც თუ მე გამომპარვია შემთხვევა, ჩემი შეხედულება მემცნობებინა სმენათა და გასაგონათ. ჩემი ნაწერები ჭკუაში ბევრს დაჰჯდომია, გარნა ასევე ბევრს უკუუგდია და გაიციხვაც შემოუთვლია უმართებულო ჰაზრების გავრცელებისათვის. ეს არა კმარა: ზოგიერთი ჩემი პოლიტიკური მეგობარი ღალატსაცა მწამებს და მჯერებს, რომ ყველა ჩემი წერილები, რომლებშიაც მე ქართულ პარტიების გაერთიანებაზე ვნატობ და ამის გარეშე ეროვნული ბრძოლის საქმე წაგებულათ მიმაჩნია,—დასაწუნია და დასაძრახისი, თურმე ნუ იტყვიან, ერთიანად დავმორებულვარ პატრიოტულ მცნებასა და ვილაცების ანკესზე წამოგებული, მომხმამულ ჰაზრებით ვკვებავ ქართველ საზოგადოებას! მე მაინც ვფიქრობ, რომ მდგომარეობის სირთულე და გამწვავებული ბრძოლის ზრდა უხურში მგმობლებსაც და დაგმობლებსაც ერთისადაიგივე ბაირალით გადაგვფარავს, ხოლო საქართველოს სასიცოცხლო ინტერესები აგვიძულებენ დაჩქარებით განვაარსოთ ერთობლივი მოქმედება.

მაგრამ ვიდრე ამაზე მასლაათს შეუდგებოდეთ, გადავავლოთ თვალი მტრის ბანაკს: რა ხდება იქ? როგორია მისი მდგომარეობა შინ და გარეთ?

კომუნისტური ხელისუფლების გამგებლობის მეხუთმეტე წელიწადი სამეურნეო და საზოგადოთ ეკონომიკური უკიდურესი დაქვეითების ნიშანით მიიშობება. ეს იმას როდი ჰნიშნავს, თითქოს ამ ხნობამდის საბჭოთა სამყოფელოში ამ დარგში. ან თუ სხვაფორივი რიგი და წესი დაცულყოფილიყო: უწესობა და უკეთურება ბოლშევიკების თანდაყოლილი ნიშანდობლივი თვისებაა და იქ, სადაც მათი ხელი

მიეკარება, მყისვე ყოველისფერი იფუშება და ვერუნდება: რა უნდა დამართოს აბიბინებულ ჯეჯილს, როდესაც მასზე კალია გადაივლის?! ქარაფშუტულად აფორიაქებულსა და გამოფიტულ ტვინს აროდეს ძალუქს მოვლა და შენახვა ისეთი რთული მოვლენისა, როგორც არის საზოგადოება და სახელმწიფო; ცხოველყოფილობა და შემოქმედებითი აღმაფრენა მას არ უწერია... მოსკოვი კი მაინც გაჰკინვის რალაც გვეგებსა და მიხწევებზე, იერიქოს საყვირით ამასვე იმეორებენ მთელს სამყაროში მიბნეულნი მისი დამქაშები, მაგრამ რა ყრია ამ ხმაურობაში? არაკის კასრიც ბრახუნით მოგორავდა, შიგ კი ფუჭი იყო! რა არის მამ, თუ არა სიფუჭე ყოველმხრივი და ყოველგანმოდებული, როცა ხელის საპონი და ადლი შაურაიანი ჩითისა ამ მართლაც რომ სანიმუშო ქვეყანაში ჯერ კიდევ საოცნებო საგანია?! რა სახელი უნდა მიეკუთნოს ისეთს მთავრობას, რომელმაც ხალხი «კულებათ» აქცია? რა საგანსაც უნდა გაეკაროს ჰარაქთგამოლეული საბჭოთა ქვეშევრდომი—მარილი იქნება ეს თუ, ლობიო, ნავთი, თუ პური—იმან ან «კუდი» უნდა გამოიბას, ან თვით გამოებას «კულს». გავონილია სადმე, რომ «მიღწევათა» და «გაღრმავებათა» მეხუთმეტე წელიწადზე, მეორე «ხუთწლედის» დასაწყისში ლუკმა პურს დაეჭებდეს პურის ბელის პატრონი უკრაინელი და კუბანელი კაზაკი?!

კომუნისტურ ცაას საზოგადოებრივი წყობილების გარდაქმნისათვის ბოლო ეღება, ეს ოინბაზობა მალე უნდა გათავდეს სინამდვილის მიერ უარყოფილი და დაგმობილი. ის უღმობელათ აღიგვება პირისაგან ქვეყნისა, ვითარცა მოვლენა უგუნური და მახინჯი, გიჟური ტვინით გამოცემული, გიჟურათვე ამოძრავებელი. კომუნისტური სამფლობელო უახლოვდება უფსკრულს. მისი შინაგანი «შესაძლებლობანი» ამოწურული არის სავსებით, ამ მხრზე მისი დღენი დათვლილია. ბაბილონი იქცევა, კითხვა მხოლოდ იმაშია, თუ კიდევ რა ხნით ასაზრდოებს მას ხიშტებიანი ჩეკა: ასე იხრება მიწისაკენ ფესვებგამომპალი ხე,—იხსნის მას წაქცევისაგან შეყულებული ბოძი?!

არის ჩეკის გარეშე ერთი მასახრდობელი წყაროც, რომლის მეოხებით მთელი ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა რუსეთი სულს ითქვამდა: სახეში მაქვს ის მუყიათი დახმარება, საერთაშორისო კაპიტალი ყოველ გაჭირვებისას რომ აწვდის მესამე ინტერნაციონალის მთავრობას. ამავე კაპიტალის შთაგონებითა და, თუ გნებავთ, ზეგავლენით ზოგიერთი სახელმწიფოც ჩათრეული არის ბოლშევიკების უზრუნველყოფის საქმეში. გარნა სულ ბოლო დროს აქაც მდგომარეობა იცვლება საბჭოთა კავშირის საზიანოთ: დავასახელოთ თუნდაც ნავთის მრეწველთა ყრილობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ ზაფხულს პარიზში და რომლის დადგენილებებში რუსეთი ნახსენები არც კი არის (წარმოგიდგენიათ ნორმალ პირობებში ბაქოს პატრონის უგულებელყოფა?!). ამა-



ვე ხანებში შესდგა დიდბრიტანეთის დომინიონების წარმომადგენელთა ყრილობა ოტტავაში, რომელიც მოითხოვს სასტიკ ზომების მიღებას საბჭოთა «დემპინგის» წინააღმდეგ. უფრო თვალსაჩინო მოვლენა გერმანიაში იშლება: ამ სახელმწიფოში ძირიანად იცვლება ოფიციალი პოლიტიკა ბოლშევიკურ რუსეთისადმი. იმ დროს, როცა საგარეო საქმეთა სამინისტროს განწყობილებას შტრეზმანისა, კურციუსის და თვით ბრიუნინგის მართებლობისას საერთოდ პრობოლშევიკური ელფერი ედო, ნორბიტმა სრულებით შეაყირავა იქ არსებული წესები. ერთი მაგალითი: ვის არა ჰსმენია, რომ გერმანიაში ერთთავად გახშირებულია კომუნისტების პროცესები და ხშირად საქმე გადასაქრელად ლაიპციგის უმაღლეს საიმპერიო სასამართლოშიაც გადადის. ცნობილია ისიც, რომ სასამართლოს საქმე გერმანიაში სათანადო სიმაღლეზე დგას და თუ მხედველობაში მივიღებთ საზოგადო გერმანულ პედანტიზმსა და საქმისადმი თანმიყოლას, კომუნისტების დანაშაულიცა და მათი მუდმივი კავშირიც მოსკოვთან გეომანიის საზარალოთ, ყოველთვის აშკარავდებოდა და მტკიცდებოდა, მაგრამ ასევე ყოველთვის საკითხის გამორკვევა შუაგზაზე ჩერდებოდა და წყდებოდა, რადგანაც საგარეო უწყების ანგარიშში არ შედიოდა მოსკოვთან დავის გაჩაღება. საგარეო საქმეთა ესლანდელმა მინისტრმა აღკვეთა ასეთი უცაურო გულშემატკივრობა ბოლშევიკებისადმი. ამჟამად ვილჰელმშტრასედან სასამართლოებში დაუბრკოლებლივ იგზავნება საქირო მასალები და საბუთები, საიდანაც ამკარავდება, რომ რუსეთის უწმინდური ხელი გააფთრებით მუშაობს გერმანიის დასაღუპავად. ზემონათქვამს დაუმატეთ აწინდელ რაიხსკანცლერის ფონ პაპენის განცხადებანი კომუნისტური საშიშროების შესახებ, მსგავსივე განცხადებანი და მუქარანი პიტლერისა. დაურთეთ ისიც, რომ არ არის გამორიცხული შესაძლებლობა თვით კომუნისტურ პარტიის შთელს გერმანიაში აღკრძალვისა, — და ადვილი გასაგები ხდება, რა მოულოდნელ ხიფათების წინაშე მოუხდებათ დგომა სულ ახლო მომავალში კრემლის «ჯეილებს».

დიდმიწველოვან ამბების დატრიალებას უნდა ველოდეთ, «მკვდარი წერტილი» დაიძრა. წითელ იმპერიალისტებს შიში და ძრწოლა მოუხდათ. თიხის ფეხებიანი კარბი ირყევა. ხალხი გმინავს. დაჩაგრული ერები ირახმებიან...

აი სწორეთ საამდროოა კიდევ ერთხელ გადისინჯოს ბრძოლის მეთოდები. ეს გვეჩება უმეტესად ჩვენ—ქართველებს—, ჯერ ერთი იმიტომ რომ კავკასიაში—აქ დასამალავი არაფერია—საქართველოს პაზრსა და ხმასა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმთავითვე და გარდა ამისა პარტიული თუ ჯგუფური ზრახვანი ჩვენში უფრო რთულ ხასიათისა და მტკივნეულ ფორმებში ისახება.

მაგრამ რაგინდ მძაფრ ფორმებშიაც უნდა ყალიბდებოდეს ქართული პარტიული ბრძოლა, იგი კიდევაც საზარალო რომ იყოს (და ეს ხომ ასეც არის) ეროვნული სხეულის წარმატებით განვითარებისათვის და რა რიგათაც უნდა აფერხდეს სახელმწი-

ფო-საზოგადოებრივ სწორწარხილულ მიმართულებასა და აღუნებდეს მის მაჯისცემას,—მაინც შესაწყნარებელი ხდება ასეთი ვითარება სამშვიდობო პირობებში, როცა საერთო ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში არის ჩამჯდარი. უნდა კი ითქვას, რომ პარტიული ყინიანობა მარტო ჩვენი სენი არ არის. პარტიობა დღეს ერთგვარ სასპორტო ხელობად იქცა. არის შემთხვევები, როცა პირდაპირ უწმაწურობაშიაც გადადის: ხომ ვიცით, რომ ზოგან არჩვენების დროს ოცამდის პარტია მონაწილეობს! ოცი ინტერესი? ოცი სხვადასხვა შეხედულება? ოცი «რეცეპტია»? დღესდღეობით ასეთ ფუქსავობისაგან მხოლოდ ანგლო-საქსონელებმა დაიზღვიეს თავი. ვის გავყვებოდით ჩვენ დაბოლოს, ძნელი გამოსაცნობია, საფიქრებელი კია, რომ ინგლისისა და ამერიკის პარლამენტარ წესებს საქართველოში ნაკლები პოპულიარობა ექნებოდა, რის ნიშნებიც წოგს შემთხვევაში უკვე გვკნობდა...

დაუბრუნდეთ საგანსვე: დღიდან რუს ბოლშევიკების შემოსევისა საქართველოს წაერთვა ნორმალური ცხოვრების ყოველივე სახსარი, მაგრამ რას ვამბობ? რომელ ნორმალობაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ჩათრეულნი ვართ ნამდვილ, გამწვავებულ, სისხლიან ომში?! რუსეთის შემოტევას საქართველო დაჰხვდა გამართლებული კიდიტკიდმდე, გარნა ვაერთიანებული ქართველობა-კი დაყოფილი იყო მობირდაპირე ჯგუფებათ და ასეთი სახეობა მან შემდგომშიაც შეინახა, თუმცა მტრის მახვილი ყველას ერთად გვირტყამს და გველტს. გეკითხებით, ასეთ მდგომარეობაში ჭკუაშიდასაჯდომია რაიმე ყოყმანი? იქნება ვინმემ მართლაც იცის ისეთი რამ მისტერიული მიზეზი, რომელიც სრულებით არ ეგუება პარტიების გაერთიანებას გარკვეულ დარგში, ესე იგი, მტრის წინააღმდეგ ომში? დაგვანახვეთ. გვასწავლეთ, დაგვაჯერეთ!

რა გარემოება უშლის ხელს ქართულ ნაციონალ პარტიებს, რომ ნაციის უბედურების ქამს შეკავშირდნენ? შიში, რომ ყოფილი მმართველი პარტია არ მოისურვებს გაინაწილოს ვისმესთან საჭე ხელისუფლებისა? მაგრამ, როგორა და რა ზომებით აპირებენ ამის განმეორების თავიდან აცდენას? ისევე იმავე პარტიული ბილიკის ტკეპნით: გუშინ სხვა ბატონობდა, ამიტომ ნება მიბოძეთ ხვალე მე ვიბატონო! ეს არის ხსნა, «პანაცეა»? ასეთი სულისკვეთებით სახელმწიფო არსად შენდება, ბევრგან-კი იქცევა.

ჩვენს მდგომარეობაში ერისა და ქვეყნის ხსნის საქმე უნდა გადაქრით შეიცვალოს. საკითხი ისე კი არ უნდა შეტრიალდეს, რომ ერთმა მეორე შესცვალოს, ამით ცხოველ ძალებს მხოლოდ დავასუსტებთ, თავისუფლების საქმეს ურიგო სამსახურს გავუწევთ. პოლიტიკურად მოპაზროვნე დამიანის გონებაცა და მისი მოქმედებაც მიზანში უნდა ისახავდეს ისეთი მდგომარეობის შექმნას, რითაც მტერი დასუსტდება. მის საწინააღმდეგო ძალა კი გაძლიერდება რიცხვითა და თვისებითაც. ეს კი შესაძლებელი არის ყველა ეროვნულად განწყობილ ძალების გაერთიანებითა და დაჩაზმვით. საბედისწერო ქანია.

განწირულ ერს უნდა მივხედოთ ყველამ ერთად დგომითა და ერთობლივი ამოქმედებით. ამ გლოვისა და ზარის დღეებში უნდა გამოხტეს ვიღაც არამკითხველი და უცები სარმის გამოკვრით შეაფერხოს დაწყებული მოქმედება! ტყუილად კი არა თქმულა: მოულოდნელი კუნძი ურემს გადააბრუნებსო.

დიდსა და ერთგულ ფაქიზ საქმეს წარმატებით გაუძღვება მხოლოდ ისეთი ხალხი, რომელიც ამ შემთხვევისთვის უტეხია, ჰაზრითა და მოქმედებით შედუღებული. პარტიები და ჯგუფები აქ თვითუღალად, ცალკ-ცალკე გამოსვლებით უძლურნი არიან და მავნენიც: ისინი მონაწილენი უნდა იყვნენ, და არა გამგენი, დამხმარენი და არა უფლებამოსილნი, ხმის მიმწვდვლნი და არა გადაპყრელნი, მრჩეველნი და არა მსაჯულნი, მსახურნი და არა მბრძანებელნი. საქართველო სძლევს მთლიანი, ერთბამად ამხედრებული! სხვა გზის მაძიებელი ქვეყნას წაქცევი-

საკენ იხმობს: ეს დანაშაულია, თუნდაც მხმობელს განზომილი არც კი ჰქონდეს თავის საქციელის შედეგი.

ეს სტრიქონები საქართველოს შეიარაღებული აჯანყების რვა წლის აღსანიშნავად იწერება. მუხლი მოვიდრიკოთ იმათ წინაშე, ვინც თავის თავი დასდეს მამულისა და ერისათვის, ვინც განუზომელი სიყვარულით აღვზნებულნი საერთოდ საქმეს შეეწირნენ და სისხლით ამბორჰყვეს მომბელი მიწა. უმანკოთ დაღვრილი მათი სისხლი ჩასწვდა სახელოვან წინაპართა სამარეებს და ქვესკნელიდან ანდერძი დაგვიბარა: ერთობით გამარჯვებისაკენ!

იმ დროს, როცა უჩინარი ხელი საბჭოთა ბაბილონის სამეფოს მრისხანე განაჩენს უწერს, როცა შვების ცისკარი საცაა აინთება, ვინ ინებებს ერთობლივ რაზმების დაქსაქსვას?!

რ. ინგილო.

### საქართველო და სპეკულაციური უფლება

ქართველი ერი დამოუკიდებელი იყო თავის ისტორიის უმორავს დროიდან. იგი წარმოსდგება რასისაგან, რომელიც ერთი უძველესთაგანია დედამიწაზე და თუმცა განიცადა ზოგი აუცილებელი შერევა, მაგრამ გასაოცრად დაიცვა თავისი სიწმინდე საუკუნეთა მანძილზე. ქართველი ერი მსოფლიო ისტორიაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. ევროპის უმაღლეს მთებში შეფარებული იძულებული იყო მრავალი წინააღმდეგობა გაეწია დიდი იმპერიებისთვის, სპარსეთისა და ოსმალეთისთვის სამხრეთით, რუსეთისთვის ჩრდილოეთით, რომლებიც ცთილობდნენ მის დაპყრობას. მაგრამ ეს ხალხი ხანდახან ვერ აცდა უცხოთა უფელს.

საქართველოს ისტორია აღსავსეა ბრძოლებით თავდამსხმელების წინააღმდეგ, ბრძოლებით, რომლებიც თითქმის ყოველთვის თავდებოდა ამ მამაცი ხალხის განთავისუფლებით. საერთო გამარჯვებამ და დამარცხებამ, საერთო სიხარულმა და მწუხარებამ დიდად შეუწყო ხელი ქართველი ერის მთლიანობის გამოკრედას, რომელიც დარჩა შეურყეველი მიუხედავად მისი ისტორიის ცვალებადობისა \*).

#### I.

მე-18 საუკ. ბოლოს საქართველოს მდგომარეობა განსაკუთრებულად კრიტიკული შეიქნა. სამხრეთის მეზობელთა შემოტევებმა ისე დაასუსტეს, რომ იძულებული გახდა დახმარება ეძებნა ძლიერ ჩრდილოელ მეზობელთან, რუსეთთან, რომელიც მას უანლოვდებოდა სარწმუნოებრივი ერთობით. ამისათვის დაუკავშირდა რუსეთს ხელშეკრულებით, რომელიც დადებულ იქნა რუსეთის იმპერატორისა ეკატერინე

მეორესა და ქართლისა და კახეთის \*) მეფეს ერეკლეს შორის, 1783 წ. 24 ივლისის რიცხვით \*\*).

ამ დრომდე საქართველოს იურიდიულ საერთაშორისო მდგომარეობას არავითარი სიძნელე არ ახლდა, ეს სახელმწიფო სარგებლობდა სრულს სუვერენობას როგორც შიგნით ისე გარეთ. არავითარი დამოკიდებულების კავშირი არ აერთებდა მას მეორე სახელმწიფოსთან. სრულიად უდავოა, რომ საქართველოს ჰქონდა მაშინ სრული საერთაშორისო პიროვნება.

გართულება იწყება მხოლოდ 1783 წ. ხელშეკრულების დადებიდან. ამიტომ საჭიროა ამ ხელშეკრულების მოკლე გარჩევა, თუმცა და დღეს მას მართოდენ წმინდა ისტორიული მნიშვნელობა აქვს \*\*\*).

ყოვლის უწინარეს ფორმის მხრით, ამ ხელშეკრულებას, როგორც ყველა მსგავს ხელშეკრულებას, აქვს ორმხრივი შეთანხმების ხასიათი, რომელიც მოხდა ორს სუვერენულ სახელმწიფოს შორის. ეს ხასიათი უეჭველია, თუ მხედველობაში მივიღებთ ხელშეკრულების შესავალს და მის აშკარად გამო-

\*) ქართლი და კახეთი, რომლებიც საქართველოს ნაწილს შეადგენენ. აქ ნახმარია როგორც საქართველოს სინონიმები. ხელშეკრულების გერმანულ ტექსტს ასეთი სათაური აქვს: «Traktat zwischen dem russischen Reiche und Georgien». O. Nipold, La Géorgie du point de vue du droit intern, Berne, 1920, გვ. 6.

\*\* ) ნ. ამ ხელშეკრულების ტექსტი Martens ის Recueil des traités, მეორე გამოცემა, ტ. 3, ან რუსეთის კანონების კრებულში, ტ. 21, № 15:835. ნამდვილი მოთავსებულია ს. პეტერ. Nouveau journal, 1783 წ. ნაწ. 3, გვ. 145. ხელშეკრულება საგანგებოდ იყო გამოცემული ყენევაში 1919 წ.

\*\*\* ) O. Nipold-მა მოგვცა ხსენებული ხელშეკრულების ერთკლი განმარტება უკვე დასახელებულ შრომაში, გვ. 6 და შემდ.

\*) E. Kuhne. La Géorgie libre, son passé, son présent, son avenir. Genève, 1920. ეს შრომა შეიცავს საქართველოს მოკლე ისტორიას. უფრო სრული განცხობისათვის საჭიროა სამ ტომიანი M. F. Brosset, Histoire moderne de la Géorgie (S. Peter. 1856-58),



თქმულ დებულებებს. შესავალში ორი სუვერენი, იმპერატრისა ეკატერინე მეორე და მეფე ერეკლე მეორე ასახელებენ სრულუფლებიან რწმუნებულებს, რომლებიც მათი სახელით სდებენ ხსენებულ ხელშეკრულებას; იგი ხდება სავალდებულო ორივე მხრისთვის მხოლოდ დღიდან რატიფიკაციისა ორივე ერის სუვერენების მიერ).

1783 წ. ხელშეკრულების ორმხრის ხასიათს ხაზს უსვამს კიდევ ის დებულებანი, რომელთაც იგი შეიცავს. ორივე მხარე აღიარებს ურთიერთის განსახდერულ უფლებებს და ლებულობენ ვალდებულებებს ერთმანერთის მიმართ. ბოლოს მე-12 მუხლს გადაჭრით აცხადებს, რომ ხელშეკრულების ყოველგვარი შეცვლა «შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთის თანხმობით». აქედან უდავოა, რომ ჩვენს წინაშეა საერთაშორისო ხელშეკრულება, დადებული ორ სწორ უფლებიან სახელმწიფოს შორის და საერთაშორისო უფლების ორს სუვერენულ პიროვნებას შორის.

1783 წ. ხელშეკრულების მიზანია რუსეთსა და საქართველოს შორის პროტექტორატის რეჟიმის დაწესება. საქართველო სდებდა რუსეთის მფარველობის ქვეშ. პირველი მუხლი განსაზღვრავს საქართველოს ახალს მდგომარეობას და ჩამოთვლის იმ ვალდებულებათ, რომელნიც ეკისრება მას, როგორც მფარველობის ქვეშ მყოფ სახელმწიფოს; მისთვის აკრძალულია რაიმე დამოკიდებულების კავშირი უცხო სახელმწიფოსთან; იგი აღიარებს რუსეთის უზენაესობას და პროტექციას; ვალდებულია დაეხმაროს მას საჭირო შემთხვევაში.

ასეთი წყობილების დამყარებას აუცილებელ შედეგად ჰქონდა საქართველოს ზოგიერთი სუვერენულ უფლების შეზღუდვა; მფარველობის ქვეშ მყოფი სახელმწიფო თითქმის ყოველთვის უარს ამბობს თავის საგარეო სუვერენობის უფლების სარგებლობაზე, რომელიც გადადის პროტექტორ სახელმწიფოს ხელში. 1783 წ. ხელშეკრულების მეოთხე მუხალით საქართველოც უარს ამბობს საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებელ წარმოებაზე. ამ მუხლის თანახმად, იგი «ვალდებულია არავითარი ურთიერთობა არ იქონიოს მეზობელ სუვერენებთან, თუ წინასწარ არ შეუთანხმდა (რუსის) ჯარის უფროსს საზღვარზე ან მისი იმპერატორობითი დიდებულების მინისტრს, რომელიც წარმოგზავნილი იქნება მეფის კარზე».

ამიერიდან საქართველს საგარეო ურთიერთობა უნდა დაემორჩილოს რუსეთის კონტროლს. ეს უარისთქმა საგარეო სუვერენობაზე იწვევს თუ არა საქართველოსთვის საერთაშორისო უფლების პიროვნების ღირსების დაკარგვას? აქვს თუ არა აქადგილი საერთაშორისო უფლებასთან უშუალო დამოკიდებულების—ავსტრიელთა სკოლის (Verdross, Kunz) Volkerrechtsunmittelbarkeit-ის — გაუქმებას, რაიც წარმოშობდა საქართველოსთვის სახელმწიფოებრივი ხასიათის დაკარგვას საერთაშორისო თვალსაზრისით?

სით? არა. საქართველო სრულად არ ამბობს უარს თავის საგარეო საქმეების წარმოებაზე; მის სუვერენს, ეს თვით მეოთხე მუხლიდანაც გამომდინარეობს, აქვს დამოკიდებულება უცხოელ სუვერენებთან. ხოლო მისი უფლებები ამიერიდან შეკვეცილია რუსეთის სასარგებლოდ; ყოველი გადაწყვეტილებისთვის, რომელიც ეხება საგარეო პოლიტიკას, საქართველოს სუვერენი მოვალეა შეეკითხოს რუსის ჯარის უფროსს საზღვარზე ან მასთან წარმოგზავნილ მინისტრს.

რომ 1783 წ. ხელშეკრულებამ საეხებით არ გააუქმა საქართველოს საერთაშორისო პიროვნება, მიუხედავად იმ დებულებაში მოთავსებულ შეზღუდვისა, რომელიც ზემოთ განვიხილეთ,—ამას ამტკიცებს ლეგაციის აქტიური და პასიური უფლება, რომელსაც აღიარებს საქართველოსთვის ხელშეკრულების მეხუთე მუხლი. მართალია, ეს უფლება ფორმალურად მას რუსეთის მიმართ აქვს; მაგრამ რადგან საწინააღმდეგო მუხლი არ არსებობს, უნდა ვიხედოვოდვანელოთ საზოგადო პრინციპი, რომ პროტექტორატის ხელშეკრულებათა დებულებანი შეზღუდვით უნდა იქნეს განმარტებული, და ჩვენ უნდა დავასკვნათ, რომ ხსენებული უფლება საქართველოს რჩება სხვა სახელმწიფოების მიმართაც. მასთანადამე 1783 წ. ხელშეკრულების შემდეგაც საქართველო განაგრძობს უშუალოდ საერთაშორისო უფლების სარგებლობას, მას შერჩა სახელმწიფოს ხასიათი საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით). თვით იმ შემთხვევაშიაც, საქართველოს რომ მთლად ეთქვა უარი თავის საგარეო დამოუკიდებლობაზე და ამგვარად აღარ დარჩენილიყო საერთაშორისო უფლების სუვერენული პიროვნება, აქედან ვერ დავასკვნიდით, რომ მან დაჰკარგა სახელმწიფოებრივობა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ უარის თქმას საფუძველად აქვს საერთაშორისო ხელშეკრულება. რომლის დაცვას თვით მოითხოვს. გაუქმდება თუ არა ხელშეკრულება, საქართველო ისევ იბრუნებს სავსებით თავის სუვერენულს უფლებებს\*\*).

\*) მკვლევართა დიდი უმრავლესობა ემხრობა იმ აზრს, რომ პროტექტორატის ქვეშ მყოფი სახელმწიფო არ ჰკარგავს საერთაშორისო უფლების პიროვნების ღირსებას.

\*\* ) საერთაშორისო სამართალმა სუვერენობის შესახებ იცის განსხვავება. მსგავსი იმისა, როგორიც არსებობს კერძო სამართალში საკუთრების უფლებასა და ამ უფლების სარგებლობას შორის. საკუთრების უფლების სარგებლობა შეიძლება ხელშეკრულებით გადაეცეს სხვას ისე, რომ ამ გადაცემამ არ გააუქმოს თვით საკუთრების უფლება; როგორც კი ხელშეკრულება დასრულდება, მესაკუთრეობის სრული უფლება უბრუნდება პატრონს. ამ გვარადვე საერთაშორისო სამართალში, სახელმწიფოს ხელშეკრულებით შეუძლია დათანხმდეს თავის სუვერენულ უფლებათა ზოგიერთ შეზღუდვაზე. ხოლო დასრულდება ხელშეკრულება თუ არა. მასთან ერთად ისპობა მისი დადებული შეზღუდვანი და სახელმწიფო იბრუნებს სრულს თავის სუვერენობას. რასაკვირ-

\*) რატიფიკაციათა გაცვლას ჰქონდა ადგილი 1783 წ. ნოემბერში.

რაც შეეხება შინაურ სუვერენობას, 1783 წ. ხელშეკრულებას სრულებით არ შეუკვეცივს საქართველოს უფლებანი. მეექვსე მუხლის ძალით, რუსეთი «ვალდებულია არ ჩაერიოს ქვეყნის შინაურ საქმეებში, არ მიიღოს არავითარი მონაწილეობა აღმასრულებელ ხელისუფლებაში, არც შინაურ მართებლობაში, არც სასამართლოში. არც გადასახადების აკრეფაში». შინაური თვალსაზრისით საქართველო რჩება აბსოლუტურად დამოუკიდებელი.

ესლა თუ მივუბრუნდებით რუსეთს, დავინახავთ, რომ ხელშეკრულება მას აკისრებს განსაზღვრულ ვალდებულებათ, პირისპირ იმ უფლებათა, რომელსაც ის სცნობს მის მხარეზე. ეს უფლებანი ჩვენ უკვე გავიცანით—ისინი შეადგენენ საქართველოს ვალდებულებათ. რაც შეეხება რუსეთის ვალდებულებებს, ისინი ბევრია და ყველაზე უმნიშვნელოვანესი ისაა, რომ რუსეთი ვალდებულია დაიცვას საქართველოს ტერიტორია ყოველი თავდასხმისაგან (მუხ. 2 და 6). იგი მოვალეა არა თუ უზრუნველყოს საქართველოს აწინდელი ტერიტორიის მთლიანობა. არამედ იმ ადგილებისაც, რომელთაც საქართველო მოიპოვებს მომავალში (მუხ. 2). ხელშეკრულების დამატებით შეთანხმებაში რუსეთი იმის პირობასაც კი სდებს, რომ შეუერთებს საქართველოს იმ ტერიტორიებს, რომლებიც მას წინად ეკუთვნოდა.

მეორე მნიშვნელოვანი მოვალეობა გამომდინარეობს, შეზღუდვა ისე შორს არ უნდა მიდიოდეს, რომ დაუკარგოს სახელმწიფოს სრულიად საერთაშორისო ხასიათი და გადააქციოს იგი მხოლოდ შინაური უფლების უბრალო კოლექტივად. ამ საგნისთვის არ არსებობს საზოგადო წესები, ყოველი კერძო შემთხვევა ცალკე უნდა იქნეს განხილული, ხელშეკრულების მუხლების მიხედვით.

რეობს მეექვსე მუხლიდან: რუსეთი პირობას სდებს, «მისთვის სამეფოს მკვიდრი იქნებიან ვითარცა მისი დიდებულების იმპერიასთან მკვიდრო კავშირსა და სრულ თანხმობაში მყოფნი და მამასადამე მათ მტრებს მიიჩნევს საკუთარ თავის მტრებად». ამ ორი მუხლის ძალით, რუსეთი ვალდებული იყო მივუვლებოდა საქართველოს ომის დროს; ცალკე შეთანხმების მესამე მუხლი განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოეწყოს ეს დახმარება.

ასეთია მთავარი დებულებანი 1783 წ. ხელშეკრულებისა. ამ დებულებათაგან ის გამომდინარეობს, რომ ჩვენს წინაშეა საერთაშორისო შეთანხმება ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის დადებული. იგი აწესებს მათ შორის პროტექტორატის წყობილებას, რომელიც განსაზღვრულ უპირატესობას ანიჭებს რუსეთს, სახელმწიფოს—პროტექტორს. ხოლო ეს უპირატესობა სრულებით არ შელახავს საქართველოს სახელმწიფოებრივ ხასიათს; იგი სტოვებს, თუმცა შესუსტებულად, ამ სახელმწიფოს საერთაშორისო პიროვნებასაც. რომელიც სდებს მხოლოდ მფარველობის ქვეშ (Nipold. გვ. 26).

მაგრამ 1783 წ. ხელშეკრულება მეტია ვიდრე პროტექტორატის ხელშეკრულება, ის ამავე დროს კავშირის და მეგობრობის ხელშეკრულებაც (იხილეთ შესავალი), რომელიც აწესებს არბიტრაჟს იმ შემთხვევისთვის, თუ მხარეთა შორის რამ უთანხმოება ჩამოვარდა. ასეთი დებულებანი საზოგადოთ შესაძლებელია მართლ იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც დამოუკიდებელნი არიან და სარგებლობენ თავის სუვერენობას.

Louis Le Fur

საერთაშორისო უფლებების პნდტეხტობი პარიზის უნივერსიტეტი.

რ უ ს ე თ ი ს რ ე ვ ო ლ უ ც ი ა  
IV.

რუსეთის სახალხო მეურნეობას ბუნებრივი, თავისუფალი განვითარების საშვალეობა არასოდეს არ ქონია. ამ მხრით ბედი მას არასოდეს სწყალობდა და პოლიტიკის ზეგავლენას ყოველთვის განიცდიდა. თუ დასავლეთ ევროპაში ეკონომიკას დიდი გავლენა ქონდა პოლიტიკაზე, სამაგიეროთ აღმოსავლეთში წინააღმდეგ მოვლენას ქონდა ადგილი—ეკონომიკა პოლიტიკას ემობდა.

რუსეთში მოსკოვის მეფეების ეკონომიური პოლიტიკა ხომ წმინდა აღმოსავლეთური იყო. მაგრამ არც შემდეგ, რა რომ პეტრე დიდმა რუსეთს პირი დასავლეთისკენ აბრუნებია, სახალხო მეურნეობას თავისუფლათ განვითარების საშვალეობა არ ქონია. პეტრე დიდი მას ხელოვნურათ აჩქარებდა—ციდილობდა ჩამორჩენილი, ბატონყმური რუსეთი ევროპას დასწეოდა, ხოლო მისი მემკვიდრენი მას ამოხრუჭებდენ და არ აძლევდენ თავისუფლათ განვითარების საშვალეობას. კაპიტალისტური მეურნეობა რთული ორგანიზაცია იყო, რომელიც საჭიროებდა კულტურ-

რას, ცოდნა-გამოცდილებას, ენერჯიასა და საქმიანობას. ობლომთვის მძინარა რუსეთს, რომელიც მთელ თავის დროს ძილს, ჭამასა და ლოცვას ანდომებდა, ამის უნარი არ ქონდა.

ამ ნიადაგზე წარმოიშვა რუსეთში ანტიკაპიტალისტური იდეოლოგია. იგი იყო შედეგი რუსეთის სიძაბუნისა და სიბეჩავის და არა მისი ეროვნული ძალთა სიჭარბისა და ცხოველმყოფელობისა. კაპიტალისტურ განვითარებას რუსეთში თან მოსდევდა უცხო კულტურისა და ელემენტების გაძლიერება. რუსული თავმოყვარეობა ამის გამოც გრძნობდა შეურაცყოფილათ თავს. ამიტომ მას ძულდა კაპიტალიზმი, როგორც რუსეთში ისე ევროპაში. ამ მხრით ანარქისტი ბაკუნინი და გენ. სკობლევი ერთიმეორისგან არ განირჩეოდენ. «კაპიტალი ჩვენ არ გვიბნდა, ამიტომ კაპიტალისტებს თავზე ხელი არ უნდა მოუსვათო, განაცხადა საქვეყნოთ ცნობილმა გენერალმა სკობლევმა. რუსის გენერლის განცხადებამ ევროპის პრესაში დიდი მზაურობა გამოიწვია; რუსეთის



მთავრობა იძულებული გახდა სკობელევისგან გამოიჯნულიყო, თუმცა გულში იმასვე ფიქრობდა, რასაც რუსი გენერალი და რუსი ანარქისტი. მიუხედავად ასეთი ანტიპატივისა და იმ ხელოვნურ დაბრკოლებათა, რომელსაც კაპიტალიზმს უქმნიდენ რუსეთში, მან მაინც გაიკავა იქ გზა და ომის წინა პერიოდში მრეწველობა ფართოდ განვითარდა. მართალია, რუსეთი ბოლომდის აგარულ ქვეყნად დარჩა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სახალხო მეურნეობის მეთაური და ტონის მიმცემი იყო კაპიტალიზმი. ასე რომ დავა — უნდა გაიაროს თუ არა რუსეთმა კაპიტალისტური მეურნეობის განვითარების საფეხური, ფაქტიურად კაპიტალიზმის სასარგებლოდ გადაწყდა და თეორიულად სავსებით ადარ შეადგენდა. რუსეთის ბურჟუაზია ისე ძლიერად გრძობდა თავს, რომ მთელი სახელმწიფოს დაპატრონებას ლაშობდა. მოსკოველი მსხვილი ბურჟუაზიის ბელადის პ. რიბაბუშინსკის განხეთქი «უტრო როსიი» 1911 წ. სწერდა:

«ახნაურისა და ბურჟუას ხალხის ბეჭებზე ერთად ცხოვრება შეუძლებელი გახდა და ერთერთი მათგანი უნდა წავიდეს. ასეთი ვითარება იწვევს ამ ორ კლასს შორის კონფლიქტებს. და რაც უფრო ადრე გახდება ბურჟუაზია მდგომარეობის ერთათერთი ბატონ-პატრონი, მით უკეთესი იქნება მთელი ხალხისთვის».

რევოლუციის თითქოს რიბაბუშინსკის იმედები უნდა გაემართლებია, ბურჟუაზია უნდა გამხდარიყო ქვეყნის პატრონი და შეებოძა კაპიტალიზმს ფრთები უნდა გაეშალა. სინამდვილეში ასე არ მოხდა, ახნაურთან ერთად ბურჟუაც განდევნა რევოლუციამ.

ამ რიგად, რევოლუციაში გაიმარჯვა ბაკუნინისა და სკობელევის შეხედულებამ. დამარცხდა თვით მარქსისტი ლენინიც, რომელიც რევოლუციამდის ამტკიცებდა — რუსეთი კაპიტალიზმს თავზე ვერ გადააჩტებაო. 1921 წელს ლენინმა ეს თავისი მარცხი დაინახა, მის გამოსწორებას შეუდგა, ნები შემოიღო და თავის პარტიას დარწმუნება დაუწყო — უცხო კაპიტალი უნდა დავიხმაროთ და ჩვენ კომუნისტებმა ვაჭრობა უნდა ვისწავლოთ. ერთი სიტყვით, რევოლუციის შემდეგ ლენინმა სხვანაირი ენით განიმეორა თავისი ყოფილი ამხანაგის პეტრე სტრუვეს აზრი, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისში ქადაგებდა: «წავიდეთ კაპიტალიზმთან სასწავლებლათო».

სტალინმა ლენინს არ დაუჯერა და რუსეთის სახალხო მეურნეობა წაიყვანა ბაკუნინისა და სკობელევის გზით. სტალინის ხუთწლიანი წმინდა რუსული ეკონომიური პოლიტიკის უმაღლესი განსახიერებაა, რომლის არსს შეადგენს: სახალხო მეურნეობის მთავრობის «უქანებითა» და დეკრეტებით მართვა და მოწყობა. რომელიც ფიქრობს, რომ არსებობენ ცალკე ნაციონალური სახალხო მეურნეობანი დამოუკიდებლად მსოფლიო მეურნეობისა და მისი განვითარების კანონებისა. საინტერესოა ის, რომ დღეს ამ აზრს ქადაგებენ გერმანელი რეაქციონერი პიტლერის ეკონომისტებიც.

მაგრამ ცდებოდა არა მარტო ანარქისტი და გენერალი, თუმცა აქ შეცდომაზე ლაპარაკი მეტია, ვინაიდან ისინი გამოხატავდენ რუსული საზოგადოე-

ბის ერთი ნაწილის აზრს, რომელიც მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა რევოლუციის ხანაში, არამედ ცდებოდა საერთაშორისო მარქსიზმით ცნობილი მეცნიერიც დ. მენდელეევი. რომელიც მეტად დაინტერესებული იყო რუსეთის მრეწველობის განვითარებით და თავის შრომაში «ობ უსლოვიაზ რანვიტია ზავოდსკოვო დელა ვროსიი», ის სწერდა: «საქირთა დროშა, რომლის გარშემო დიარაზმოს რუსული ტექნიკური ძალები. ასეთი დროშის აფრიალება, ასეთი სიტყვის თქმა შეუძლია რუსეთში მხოლოდ მეფესო».

ამ რუსულმა — აღმოსავლეთურმა მეთოდმა, რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ერებსა და მათ სახალხო მეურნეობას ხეირი არ დააყარა. ბუნებით მდიდარმა, მსოფლიოს ერთი მეექვსედის მქონე რუსეთმა, მიუხედავად იმისა, რომ ორ საუკუნეზე მეტია რაც რომ იგი ეხიარა თანამედროვე კულტურას, არამც თუ ვერ გაუსწრო ევროპასა და ამერიკას, არამედ ვერც კი დაეწია მათ. დღევანდელი ცხოვრების ძარღვი რკინის გზა, ტელეგრაფი და ტელეფონია. შეერთებულ შტატებში რკინის გზის სიგრძე უდრის 405.000 კილომეტრს, ინგლისში — 40.000, გერმანიაში — 54.000, საბჭოთა კავშირში — 69.000. შეერთებულ შტატებში ტელეგრაფის გამბის მთელი სიგრძე უდრის 3 მილიონ კილომეტრს, ინგლისში — ნახევარ მილიონს, საბჭოთა კავშირში — 616 ათასს. ფოსტა-ტელეგრაფის ხარჯები შეერთებულ შტატებში თითო სულზე წელიწადში მოდის 9 მან. 40 კაპ., საბჭ. კავშირში — 33 კაპ. ტელეფონის ქსელი შეერთებულ შტატებში უდრის — 60 მილ. კილომეტრს, ინგლისში — 6 მილ. კილომეტრს. საბჭ. კავშირში — 311 ათას კილომეტრს. შეერთებულ შტატებში 100 სულზე მოდის 13 ტელეფონის აპარატი, ინგლისში — 2 აპარატი და საბჭოთა კავშირში ერთიმეათედი აპარატი.

რაც შეეხება მრეწველობის პროდუქციის მოხმარებას, იგი თითო სულზე წლიურად ომის წინ მოდიოდა (კილოვ.):

	შ. შტატ.	ინგლ.	გერმ.	საფრ.	რუსეთი.
თუჯი	291,0	136,9	219		17,9
ქვა-ნახშირი	111,3	114,8	86,4	36,2	4,9
ბამბა	112,3	17,3	5,9	2,3	2,2
ქალაღი	63,0	41,0	26,7	18,2	3,0
შაქარი	42,0	41,7	21,3	19,7	6,9

ზემო მოყვანილი ცხრილი გვეუბნება მას, რომ რუსეთი მრეწველობის ნაწარმოებით ყველაზე ნაკლებად აკმაყოფილებდა თავის მცხოვრებთ. მაგრამ შეიძლება იგი როგორც აგარული ქვეყანა მაძლარი იყო პურით? არა. ბევრმა შეიძლება არც კი დაიჯეროს, რომ იგი რუმინეთზედაც კი დაბლა იდგა ამ მხრით. ომის წინ რუმინეთში თითო სულზე მოდიოდა 46 ფუთი პური წლიურად, ხოლო რუსეთში — 24,9 ფუთი. ასე რომ მაძლარი პურით რუსის ხალხი არც მეფეების დროს იყო. ხოლო სტალინის დროს ლუკმა პურისთვის რუმინეთში გამორბის და მდინარე დნესტრზე სულსა ლევს.

ამ მოკლედ შედეგს ცუდი და კარგი ეკონომიური პოლიტიკისა, აღმოსავლეთური და დასავლეთური სახალხო მეურნეობისა, და დღეს, როცა სტალი-

ნის აღმოსავლეთურმა ეკონომიურმა პოლიტიკამ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა გაანადგურა, ხალხი დაამოია და გააბოგანა, რუსული საზოგადოება ისევ მსჯელობს მასზე, თუ როგორი გზით უნდა განვითარდეს ბოლშევიკების შემდეგ რუსეთის სახალხო მეურნეობა—ევროპულით, თუ საკუთარი რუსულით? ძველი დავა მკვდრებით აღსდგა და რუსული აზროვნება ისევ ორ ბანაკათ გაყო.

რუსული საზოგადოების ერთი ნაწილი, ისე როგორც ამ 50-60 წლის წინეთ, დღესაც ამტკიცებს, რომ რუსეთი არ საჭიროებს დასავლეთ ევროპის არც სახელმწიფოებრივ ფორმასა და არც სახალხო მეურნეობის სისტემას. გარდა სლავიანურფილური და ნაროდნიკული საბუთებისა, რომ რუსეთი თავისი საბჭოთა ორგანიზმია, თავის აზრის დასამტკიცებლათ მათ მოყავთ შემდეგი ორი მოსაზრება: 1) რომ კაპიტალისტური მეურნეობა დღეს თვით ევროპასა და ამერიკაში განიცდის უკიდურეს კრიზისსა და დაღუპვის პირას არის და 2) ის, რომ ბოლშევიკებმა სავსებით მოსპეს რუსეთში ბურჟუაზია და მათი წასვლის შემდეგ ფაქტიურათ არც კი იქნება ელემენტი, რომელსაც შეეძლება კაპიტალისტური მეურნეობის აღდგენა და ხელმძღვანელობაო.

ამ აზრს მიმდევრები ყავს აქაც და იქაც. აქ ემიგრაციაში უმთავრესათ მემარჯვენე-რეაქციონერთა შორის და იქ საბჭოთა კავშირში-მემარცხენეთა შორის, რომლებიც ფიქრობენ, რომ ერთ ქვეყანაში და ისიც კულტურულათ ჩამორჩენილში, სოციალიზმის აშენება შეიძლება. სტალინის დღევანდელი მიმდევრები, ხვალ თავისუფლათ დაუქერენ მხარს მემარჯვენე ბოლშევიზმ-ფაშისმს, რომელიც «ერთ ქვეყანაში სოციალიზმის» მაგიერ, წამოაყენებს «რუსეთის ნაციონალური მეურნეობის» ლაზურს. და თუ ბოლშევიკების შემდეგ რუსულმა ფაშისმა გაიმარჯვა, ის სახალხო მეურნეობას არ გააზარებს, თავის დარჯავში ჩაადგებს და ეკონომიკას პოლიტიკას დაუმორჩილებს. ცენტრალისტური ფაშისტური დიქტატორული მთავრობა შეეცდება მთელი სახალხო მეურნეობა, ისე როგორც წინეთ მოსკოვის მეფეების ხანაში და ესლა ბოლშევიკების დროს, ფაშისტური მთავრობის ხელში იყო.

რუსეთი საკუთარი ნაციონალური კაპიტალით რევოლუციამდისაც ღარიბი იყო, მთელი საწარმოვო კაპიტალის 70 პროც. უცხოელებს ეკუთვნოდა: ბოლშევიკების შემდეგ უცხო კაპიტალის საჭიროება კიდევ უფრო დიდი იქნება და ეს უკანასკნელი შეეცდება რუსეთის ბაზრის ამა თუ იმ გზით დაპყრობას, თავისი მხრით ცუდათ გაგებული რუსული ნაციონალიზმი ფაშისმის სახით შეეცდება უცხო კაპიტალის რუსეთში არ შეშვებას და, რადგან საკუთარი კაპიტალი არ ექნება, საერთო კაპიტალისტური მეურნეობის ჩანჩქლის. მაგრამ რადგან არსებობდა საჭირო იქნება და ისიც მილიტარიზებული სახელმწიფოს სახით, ამიტომ იგი დააწევა კისერზე სოფლის მეურნეობას. ფაშისმი პეტრე დიდსა და ბოლშევიკებსავით ასჯერ გააძრებს გლეხობას ტყავს, პური და არაყი იქნება ფაშისტური სახელმწიფოს არსებობის მთავარი სასაარი. მსოფლიო ბაზარზე პურს გამოი-

ტანს, ხალხი შინაურზე—არაყს. ვრთი სიტყვით რუსის ხალხი ისევ მშიერი, ღლთი და გაძარცული დარჩება.

თუ ბოლშევიკების შემდეგ დემოკრატამ გაიმარჯვა და შექმნა დემოკრატიული სახელმწიფო, ამ შემთხვევაში სახალხო მეურნეობასაც გაუღიძებს ბედი. პირველ ყოვლისა მას მიეცემა ბუნებრივათ, თავისუფლათ განვითარების საშვალეობა და ეს კი მთავარია. მეორეს მხრით ადგილობრივ ძალებს მიეცემათ თვითმკმედების საშვალეობა. დღეს მაინც უნდა დავინახოთ, რომ რუსეთი დაღუპა აგრეთვე სიდიდემ და ცენტრალიზმმა. ორინვე ეს ერთათ აღებული ხელს შეუწყობს ქვეყნის საწარმოვო ძალების განვითარებას. გარდა ამისა, დემოკრატია ანგარიშს გაუწევს არა მარტო მწარმოებელს, არამედ—მომხმარებელსაც. დემოკრატია ვერ მიიღებს ბოლშევიზმისა და ფაშისმის ეკონომიურ პოლიტიკას და იმისთვის რომ დნეპროსტროი შექმნას, ხალხს ვერ დაამშვეს და უცხო კაპიტალს და საქონელს რუსეთში შეუშვებს. მართალია, რუსეთის სუსტი ეროვნული მრეწველობა უცხო ნაწარმოებს და კაპიტალს კონკურენციას ვერ გაუწევს და შინაურ ბაზარზე შეიძლება იგი პირველ ხანებში დამარცხდეს, მაგრამ სამაგიეროთ მოიგებს მომხმარებელი და მცხოვრებთა უმეტესობა შელავათს იგრძნობს.

უცხო კაპიტალი თუ მან ადგილობრივ მრეწველობაშიც დააბანდა თავის თანხები და აქტიური მონაწილეობა მიიღო რუსეთის მეურნეობაში, როგორც ეს რევოლუციამდის იყო, მაშინ იგი როგორც მწარმოებელიც სარგებლობას მოუტანს რუსეთს. მას საკმარისი არც კაპიტალი და არც ტექნიკური ძალა არც ქონია, არც აქვს და დიდხანს არც შემდეგში ექნება. ამ რამდენიმე წლის წინეთ განსვენებული რუსი ეკონომისტი ზაგორსკი სწერდა—მომავალში რუსეთს აუცილებლათ დასჭირდება უცხო კაპიტალის დახმარებაო. და რაც უფრო დროულათ და შესაფერ პირობებში მოხდება ეს აუცილებლობა, მით უკეთესია რუსეთისთვის. მეორეს მხრით არავის ისე კარგათ არ შეუძლია გამოიყენოს თავისი ქვეყნისთვის უცხო კაპიტალი, როგორც დემოკრატია. მისი, როგორც პოლიტიკა, ისე ეკონომიკა დია და აშკარა არის და ამიტომ არასოდეს იგი ერის ინტერესებს არ მიყიდის ხალხის ზურგს უკან უცხო კაპიტალს.

მაგრამ ისმება კითხვა—ბოლშევიკების შემდეგ, რომელ ამ სისტემათაგანს აქვს გამარჯვების მეტი შანსები? რეალური სინამდვილე ვის მხარეზეა და რას მოგვცემს იგი შედეგათ? ეს უფრო ძნელი გაშოსაცნობია, ვინემ ის, ამა თუ იმ პარტიას რასურს.

რუსეთში კაპიტალისტურ მეურნეობას ხელსაყრელ კულტურული და პოლიტიკური პირობები თავიდანვე არ ქონია, მაგრამ ბოლოს ისიც დაემორჩილა საერთო პროგრესსა და მსოფლიო მეურნეობის ეკონომიკის კანონებს და კაპიტალისტური მეურნეობა გაანვითარა. ომის წინა არსებული პოლიტიკური ბრძოლის პერიოდი სწორეთ იმით ხასიათდებო-



და, რომ—ლიბერალი, დემოკრატი და სოციალისტიც, თავის ბრძოლის ერთ მთავარ მიზნათ ისახავდა რუსეთის სახალხო მეურნეობის ბაზონ-ყმურ ნაშთებიდან განთავისუფლებასა და საწარმოვო ძალების თავისუფლათ განვითარებას. ეს იქნებოდა რუსეთის მეურნეობის ბუნებრივი წინსვლა.

ბოლშევიკებმა ეს პროცესი ხელფურათ შეაჩერეს. ბოლშევიკური ექსპერიმენტები არ არის კაპიტალისტური მეურნეობის განვითარების შემდეგი საფეხური, მისი ლოდიკური დასკვნა. რუსეთში კაპიტალიზმს არ ამოუწურავს მთელი თავისი ძალები, არ უთქვამს თავისი საბოლოო სიტყვა. არამც თუ სოციალისტურ მეურნეობისთვის, რომელიც მოითხოვს უმაღლეს კულტურასა და ტექნიკის ქონებას, არამედ კაპიტალისტური რაციონალისტური მეურნეობისთვისაც არ არის რუსეთი მზათ. და სწორეთ ამ ჩამორჩენით აიხსნება ის, რომ ბოლშევიკური ექსპერიმენტები კარიკატურულ ხასიათს ღებულობენ და სახალხო მეურნეობას წინსვლის მაგიერ, ანადგურებენ.

აქედან ცხადია, რომ რუსეთში უნდა იქნეს მოსპობილი ხელფურთი ექსპერიმენტები და სახალხო მეურნეობა უნდა დაუბრუნდეს თავის განვითარების ბუნებრივ გზას, რომელიც მან დიდი ბრძოლის შემდეგ გაიკაფა იქ. არასოდეს კაპიტალისტურ მეურნეობას რუსეთში არ ქონია ასეთი ნოყიერი ნიადაგი, როგორც მას რევოლუციამ და ბოლშევიკებმა თავისი ექსპერიმენტებით მოუშნადეს. სოციალიზმის კარიკატურამ ხალხის თვალში დიდათ ასწია კერძო საკუთრებისა და ადებ-მიცემობის ავტორიტეტი. იგი ისეთი ძლიერი არის ხალხში, რომ ბოლშევიკური ეკონომიკის საღტებნაც კი არღვეს ხოლმე. და საკმარისია ბოლშევიკურმა დიქტატურამ წაიფორხილოს, რათა კერძო საკუთრების სტიქიამ გადმოხეტქოს გარეთ. სტალინი მას ჩეკის ჩაქუჩით ხეთწლედის ბორკილებში სქედავს, მაგრამ მიზანს ვერ აღწევს—სოციალიზმს ვერ აშენებს, ხოლო სახალხო მეურნეობას ანადგურებს და ხალხს ამშვეს.

იგივე ამბავი განმეორდება რუსული ფაზისტური დიქტატურის თავზდაც, რომელიც კაპიტალისტური მეურნეობის ხელფურათ ჩაკვლას მოისურვებს. დროებით შეიძლება მან ეს შესძლოს, მაგრამ ეს იქნება მხოლოდ სახალხო მეურნეობის განვითარების დროებით ისევ შეჩერება, რომელიც მეტათ ძვირათ დაუჯდება რუსეთის ხალხს დაბოლოს მინცი იძულებული განდება დაუბრუნდეს კაპიტალისტურ მეურნეობას.

რასაკვირელია, ეს არ ნიშნავს ძველ მესაკუთრეთა რესტიტუციას, მათ საკუთრების აღდგენას. ეს სულ სხვა კითხვა არის და ჩემის აზრით, რევოლუციის 15 წლის შემდეგ, ძველ მესაკუთრეთა ძველი უფლების აღდგენა, ფაქტიურათ შეუძლებელია და სახალხო მეურნეობის ინტერესებისთვის მიზანშეუწონელი. რუსეთის მრეწველობის ძირითადი კაპიტალი, რომელიც დაახლოვებით 5 მილიარდ ოქროს მანეთს უდრის, სამხედრო კომუნიზმის დროს გაიფლანგა. გარდა ამისა ქარხანა-ფაბრიკათა უმეტესობა გადააჯგუფა-გადმოაჯგუფეს. ასე რომ საკუთრების

ძველი სახე არსად არ არის შენახული. ამს უნდა დაუმატოთ ის, რომ ბოლშევიკებმა სახალხო მეურნეობაში ჩადვეს 10 მილიარდი მანეთი ხალხის ფული და ის წარმოადგენს მთელი სახელმწიფოს ქონებას და არა რომელიმე ჯგუფისას.

აქედან აშკარაა, რომ უნდა მოხდეს კაპიტალი-სტური მეურნეობის განახლება და არა ძველ მესაკუთრეთა რესტავრაცია. რასაკვირელია ამ მეურნეობაში ბევრი რამ ახლის შეტანა იქნება საჭირო, მაგრამ ეს უკვე დეტალებია. დღეს თვით ეკონომიკა და ამერიკაში კაპიტალისტური მეურნეობა არ არის ის, რაც ომამდის იყო. მან დიდი ცვლილება განიცადა მის წინაშე რეორგანიზაციის საკითხი ეხლაც სდგას. მით უმეტეს რუსეთში დასკირდება მას მომხდარ ცვლილებებთან შეგუება.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობას კერძოთ, აქ აღდგენილი უნდა იქნეს გლეხის საკუთრება, რომელიც მას რევოლუციამ პირველ ხანებში მიანიჭა. ლაპარაკი მასზე, რომ სოფელში კოლმეურნეობანი შეინახება ბოლშევიკების შემდგომაც, როგორც ამას «სოც. ვესტ.» ეკონომისტი იუგოვი ფიქრობს, გაუგებრობა არის და მეტი არასფერი. სამწუხაროთ ბოლშევიკებმა არამც თუ არ მოუშნადეს ნიადაგი კოლმეურნეობას და შეიყვარეს იგი, არამედ შეაძლეს იგი და დაღუპეს ის ნიადაგიც, რომელიც კოლპერატული მოძრაობიდან იყო წინეთ მოშნადებული. სოფელი თავის დღევანდელ უბედურებას—შიმშილსა და სიტუტვლეს, კოლექტივიზაციას აწერს და სამართლიანათაც. ამიტომ ბოლშევიკური დიქტატურის უღელ ქვეშაც კი ებრძვის ის კოლმეურნეობას რითაც შეუძლია, ხოლო როცა ამ უღელს გადაიგდებს იგი კისრიდან, ის ხარბათ დაეწაფება კერძო საკუთრებას და პირველ ხანებში შეიძლება მან არავითარი კოლპერატული საზოგადოების გაგონებაც კი არ მოისურვოს.

ასეთია მწარე სინამდვილე და მასზე თვალები არავინ არ უნდა დაიხუჯოს. დემოკრატიამ ამ სინამდვილზე უნდა ააგოს თავისი მომავალი ეკონომიური პოლიტიკა და ოცნებას თავი უნდა დაანებოს. რუსეთის მრავალი პოლიტიკური მოღვაწე, როგორც მემარჯვენეთა, ისე მემარცხენეთა შორის, ამდენი გაკვეთილების შემდეგაც ვერ შერიგებია ისევ კაპიტალისტური მეურნეობის რუსეთში აღდგენას და თხზავს ახალ-ახალ პროექტებს. ზოგიერთი სოციალისტი პრინციპიალური მოსაზრებითაც ვერ სცნობს, ისევ კაპიტალისტური მეურნეობის აღდგენას. გამოდის ისე, რომ თითქოს ბოლშევიკებმა მართლა სოციალისტური მეურნეობა ააშენეს. მათ შევიძლია განუმეოროთ გ. პლენანოვის სიტყვები, რომლითაც მან კამათის დროს («ნაში რაზნოვლასია») ნაროდნიკებს მიმართა: «თქვენ წარმოგიდგენიათ, რომ სოციალისტი რჩება რა ერთგული თავის იდეისა, ყოველთვისა და ყოველგან წინააღმდეგი უნდა იყოს კაპიტალიზმის განვითარებისა».

გ. პლენანოვი ამ 5 წლის წინეთ ნაროდნიკებისგან მოითხოვდა დაენებებიათ თავი ილუზიებისთვის და შერიგებოდენ კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობას რუსეთში. ბოლშევიკური ექსპერიმენტი

ტების შემდეგ მაინც, პლენარის ახრის შემდგომ-  
ტება საეჭვო აღარ უნდა იყოს. სამწუხაროთ ეს ასე  
არ არის. ბოლშევიკებმა აწეწ-დაწეწეს არა მარტო  
რუსული სახალხო მეურნეობა, არამედ რუსული  
ახროვნებაც. ცნობილი მარქსისტის დებულების  
შესახებ დღეს ისევ რყევას განიცდიან არა მარტო  
სლავიანურფილური და ნაროდნიკული ელემენ-

ტები, არამედ თვით პლენარის ზოგიერთი მოწა-  
ფნიც.

მე ვფიქრობ, რომ მაინც პლენარის შეხედუ-  
ლება გაიმარჯვებს—რუსეთი კაპიტალიზმის გზას  
ვერ აცდება.

კაჟი.

ჩეხია, 20 აგვისტო, 1932 წ.

### ილია ჭავჭავაძე თავის კომუნიაში

(მისი გაზრდაცვალების 25 წლის თავის გამო)

ილია ჭავჭავაძე მეტად დიდი პიროვნებაა—თავის  
სიგრძით და თავის სიმძლავრით. იგი იყო პოეტი,  
რომანისტი, ჟურნალისტი, მოღვაწე ჩვენი საზოგა-  
დოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში, და ყვე-  
ლაფერს ღრმად მიწვდა, რასაც კი შეეხებოდა მისი აზრი  
და მოქმედება. სამწუხაროთ მისი მდიდარი არსების  
შესასწავლად და დასაფასებლად ჯერ საქმეა მასალა  
არც თავმოყრილია, არც დამუშავებული. მით უფრო  
არ მოგვეპოვება ეს აქ უცხოეთში. მე განვიხილავ  
მხოლოდ მის სიტყვა კაზმულ ნაწერებს—იმ 87 ლექს-  
სა და პოემას და ოთხიოდ მოთხრობას. აღვნიშნავ,  
რაც არის აქ მთავარი და დამახასიათებელი და რაც  
ჩემის აზრით ყველაზე უფრო ააშკარავებს ი. ჭავჭა-  
ვაძის ბუნებას—მის ნიჭს და მსოფლმხედველობას.

რა საკითხებია, რომ იპყრობს ილიას შემოქმედე-  
ბას, რა ჰანგებია და რა გრძობები, რომ ამოძრავე-  
ბენ მის მხატვრულ კალამს? არის მხოლოდ ერთი  
სავანი, რომელიც შეადგენს სულ მცირე გამონაკლი-  
სის გარდა მისი პოეზიის და ბელეტრისტიკის მთელს  
შინაარსს. ესაა ეროვნული პრობლემა ჩვენი ქვეყნის.  
ამაზე ლაპარაკობენ, ამის არსს სწვდებიან და მის  
გადაჭრას ცდილობენ მისი ლექსები, პოემები და მო-  
თხრობები, ისეთივე კი, როგორცაა «ყაცია-ადამიან-  
ნი». რომელსაც გარეგნულად თითქოს არავითარი  
დამოკიდებულება არა აქვს ეროვნულ საკითხთან.  
ეროვნული პრობლემა არსებობს იმისთვის, ვისაც  
შეუგნია ეროვნების უდიდესი ძალა და მთელი საზო-  
გადოებრივობის განვითარებას ამ ძალის თავისუფალ  
მოქმედებაში ხედავს. კერძო ადამიანის ნიჭი და ღი-  
რსება ეროვნული ძალის დამოშუქება, ემანაცია და  
ადამიანის მოღვაწეობა იმდენად მნიშვნელოვანია და  
დიდი, რამდენად ის დაახლოვებულია ერთან, სამშო-  
ბლოსთან. ადამიანობა მამულისა და ერის შვილობაა.  
ი. ჭავჭავაძის სიტყვაკაზმულობა უაღრესი შეცნობა  
და განცდაა ამ შემდგომების. მამულიშვილური,  
ეროვნული კილო უცხო არაა ქართულ მწერლობაში  
—ის დაუსრულებელი ბრძოლა ეროვნულ არსებო-  
ბისათვის, რომელიც გადაჭიმულია ჩვენი ისტორიის  
სიგრძეზე, ბუნებრივად ხელს უწყობდა მსგავსს პოე-  
ზიას. მაგრამ შეიძლება თამამად ითქვას, რომ არც  
ერთს ქართველ პოეტს არ გამოუხატავს ასე უშუა-  
ლოთ, ასეთის სიმკვეთრით ეროვნების გრძობა და  
მამულიშვილობის განცდა, როგორც ეს შესძლო ი.  
ჭავჭავაძემ.

რამდენი სინაზე და გულითადი სიყვარულია მის  
პირველ ლექსში, რომლითაც მიმართავს ყვარლის

მთებს: «სამშობლო მთებო, თქვენი შვილი განებებთ  
თავსა, მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დაგი-  
წყებასა, თქვენ ჩემთან ივლით განუყრელად ვით ჩემი  
გული». ის უცხოეთშია, გულის სატრფოსაც კი ჰპო-  
ებს იქ, მაგრამ სიტკბობას მაშინ ჰგრძნობს მხო-  
ლოდ, როცა ოცნება წინ გადაუშლის სამშობლოს  
მთა და ბარის სურათებს. სტუდენტია და ამბობს:  
«და მისთვის ვზრდით ქაბუკს სულსა, რომ ოდესმე  
გამოვადგეთ დაობლებულს ჩვენს მამულსა». თავის  
პოეტობას რომ შეიგნებს, მიზნად დაისახავს: «ერის  
წყალული მიჩნდეს წყალულად, მეწოდეს მის ტანჯვით  
სული, მის ბედით და უბედობით დამედავოს მტკი-  
ცე სული». ნორჩს ბავშს რო უტყერის, ასე ლოცუ-  
ლობს: «ღმერთო, თან სდევდე უსუსურ ბავშსა, რომ  
დღენი ისე არ დაელიოს, მინამ ტანჯვისა ცრემლი  
თვის ხალხსა ცოტათი მაინც მან არ მოსწმინდოს». და  
ქართველ დედას ასეთ სიტყვებს დაამღერებინებს  
«შვილის აკვანზე: «აინთე ცეცხლით გული, მტერსა  
დაეცი მეხად, ან ვით შვილი ერთგული დააკვდი მა-  
მულ მეხად». ილია რომ აყვავებულ ბუნებას ხედავს,  
ესლა აგონდება: «მამულა საყვარელო, შენ როსლა  
აყვავდები?» და როცა სხვათა განთავისუფლება ეს-  
მის, სასოებით ლოცულობს: «ღმერთო, ღმერთო!  
ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში!» ის სწერს  
«დედა და შვილს» ამ მაღალს ჰიმნს სამშობლოს სი-  
ყვარულისას და გარდალახავს ერის წარსულს და  
ჰგალობს: «იმ დროს, როცა ქართველის ბედი ჩვენ  
ქართველებს გვეპყრა ხელში, როცა მამულის შვი-  
ლობა სასახელო იყო ჩვენში».

მაგრამ ილიას აქვს ლექსები. სადაც ეროვნების  
სრული შეთვისება და მამულიშვილური პათოსი აღ-  
წევს უმაღლეს ხარისხს. განა ქართველის შეგნებას  
შეუძლია დაივიწყოს მისი დავითისებური ფსალ-  
მენი:

მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,  
პოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!  
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,  
ღამე თენდება, ეგრედ ჩემი და დღე ღამდება!

დაქინებითა ფიქრი ფიქრზედ მოდის, გროვდება,  
გრძობა გრძობაზედ შეუპოვრად იძვრის ჩემს გულ-  
და მე არ ვჩივი,—მიხარიათ, რომ ეგრე შრება |ში.  
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში!

პოეტი ისეთ თავდავიწყებამდე გამსჭვალული  
ერის არსებით, ისე ღრმადაა ჩაჭრილი და ჩაქსოვილი



ერის წარსულისა და აწმყოს განცდებში, რომ საქართველოს სული თითქოს ხორცს შეისხამს და იგი დიდებული მოხუცის სახით მოველინება მყინვარზე და ასე ემეტყველება:

მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!.. მე ვარო შენი თანამდევნი, უკვდავი სული.

შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდამებანა, ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი წარსული.

მეცა ვტანჯულვარ, ჰე ბედკრულო, შენის ტანჯვითა, შენისა ცრემლით თვალნი ჩემნი მიტირებია,

მეც წარწყვენილვარ წარსულ დღეთა შენთა ნატვრის შენის აწმყოთი სული. გული დამწყულულებია. [თა,

ასე მეტყველებს ქართველი ერის სული, მაგრამ აქ ის იგივე ი. ჭავჭავაძეა, რომელმაც უხედავად ამ სულის დატევა თავის ბუნებაში და თავისი გარდამავალი მე აღამაღლა ერის სახეობამდე.

გვეხსენით ლოცვა, რომელსაც ამბობს აჩრდილი და რომელიც არა ერთხელ მოგვისმენია «სამშობლოს» წარმოდგენის დროს:

დედა ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი მხვედრია!..

შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულ ხალხსა;

საღმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია, ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!

ლოცვის დაწერა და თქმა უდიდეს სიძნელეს წარმოადგენს პოეტისათვის. საჭიროა არა მარტო რწმენა იმის, ვისაც ევედრები, არამედ კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს იმის სიყვარულს, ვისთვისაც ლოცულობ და ეს მოხუცის ლოცვა ასე გულითადი, სასოებითანი, ღრმა უტყუარი მაჩვენებელია იმის, რომ ჩვენი მგახსნისთვის «ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული».

ცხადია, თუ როგორ უნდა დატანჯულიყო ილ. ჭავჭავაძე მისი დროის საქართველოს მდგომარეობით, როგორი სიძულვილი უნდა ჰქონოდა თანამედროვე ქართველობის ცხოვრების. ქართველი ერი ასეთი იყო მის თვალწინ: «უშფოთველი, ქვემარბე-ლი, ყოვლად მთმენი ვით ჯორცხენი, ყველა უნჯი, ყველა მუნჯი, თვალაბმული, თავაკრული, ყველა ყრუი, ყველა ცრუი, მტვერ წაყრილი, თავდახრილი, მტრის არ მცნობი, მოყვრის მგმობი, სხვასთან მხდა-ლი, შინ ძლიერი, არრის მქონე, არრის მცოდნე, უზრუნველი და მშორი». წარვიდა ძველი დრო, დრო გმირობისა და დიდებისა. «ყვლა რა ვართ? საწველ ფურად თავი ჩვენი გადაქციეთ: ის სახელი, ის დიდება, ის ოჯახი დავაქციეთ». «ქართველნო, სად არის გმირი, რომელსაც ვეძებ, რომლისთვის ვტირი?» გვეკითხება ილია მოჩვენებული მოხუცის პირით. არსადაა, სახელოვანი საქართველო ვერანად ქმნილა, ჭკავით ავისილა, გმირის დამბადი საგანი მოისპო, ქართველი გადაუდგა ქართველობას, მას აღარც სწამს თავის სამშობლოს აღდგენა და «დაუგდია ვით ტამარი გაუქმებული». თუ არის ერთი-ორი კიდევ, რომელთაც სურთ შეებრძოლონ ქვეყნის წახლოვან, შური და მტრობა დაბუდებულა მათ შორისაც და ყოველი მათი კეთილი განხრახვა უშედეგოა. «ავერ ორ-

სამ კაცს რალაც უგრძენიათ, ქვეყნისა სახსრად ერთად მოდიან, ერთის საქმისთვის გაუღვიძნიათ და ერთმანეთს კი არ ენდობიან. «... თვით ამბობენ მას, რის აღდგენაც სურთ, თვით ჰშველიან მას, რასაც ებრძვიან». ილიას სამშობლო ღრმა ძილით შეპყრობილად ეჩვენება, მშობელი შობილს არრას ეტყოდა და ქართველის ძილში კვენსა ისმოდა, და გამწარებული პოეტი წამოიძახება: «სულ ძილი, ძილი! რას-ლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?»

მაგრამ მან კარგად იცის, რომ ერის გამოღვიძება არ მოხდება «უქმისა დრტვინვით», მწარე ცრემლით. «მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარბულა, რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა, მოვიკლათ წარსულ დრტვინვად დარდი. ჩვენ უნდა ვსილით ვხლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვით მყოობადი, ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს!» დღევანდელმა ქართველობამ თვითონ უნდა მოაწყოს საკუთარი ცხოვრება, გაიკვილოს საკუთარი გზა, აღადგინოს დაძაბუნებული ეროვნება, განიმსჯელოს თავისუფლების სიყვარულით. «სიკეთისათვის გული უთრთო დეს და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს». მაგრამ როგორ? ილია უკვირდება ქართველი ერის შემადგენელ ნაწილებს, ეძებს, თუ სადაა საიმედო და მკვიდრი ძალა ახალი საქართველოს გამოსაქედად, და ქართველი ერის უფრო სად, ცოცხალ ელემენტად აღიარებს მდაბიო ხალხს ანუ უკეთ გლეხობას, და არა იმ წიხს, რომელსაც თვითონ ეკუთვნოდა და დაბადებით. ძლიერ საგულისხმიეროა, რომ ილია ერთს თავის მეგობრისადმი მიწერილ ბარათში ამბობს: «მე ისეთი აგებულობის ადამიანი ვარ, რომ მეფეების და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე, საქმე ხალხია». საგულისხმოა ისიც, რომ მან საუცხოვო ხალხს უფრო ლექსები უძღვნა «გუთნის დედას» და «მუშას», ხოლო მის «აჩრდილში» ასეთის სიტყვებითაა შემკული შრომის შვილი:

შრომისა შვილო, მიძე უღელი ქვეყნის ცოდვისა შენ გაწვეს კისრად; თუმცა ქვეყანას მისი მოძღვრება დღეს მარტო სიტყვით უქმით რწმენია, მაგრამ ცხადად ჰხმობს მას წმინდა მცნება, რომ მყოობადი მარტო შენია.

და შრომის განთავისუფლებასაც კი წინასწარმეტყველობს: «შრომისა ახსნა—ეგ არის ტვირთი ძლივეა მოსილის ამ საუკუნის».

ილია ჭავჭავაძე ქართველ ერში ხედავდა უმთავრესად მემამულეს და გლეხს. ქალაქი და ქალაქის წარმოება უერ კიდევ არ სჩანდა მისთვის ან ფიქრობდა, რომ ჩვენს ქალაქში, განსაკუთრებით ტფილისში ბატონობდა უცხოელი და აქ არ იყო დაცული ქართველური სული. როგორც თავის პოემებში ისე მოთხრობებში დაუნდობლად დაჰგმო თავად-ახნაურობის ცხოვრება, რომელიც ერთ დროს დიდს როლს თამაშობდა საქართველოს ისტორიაში. ამ წრიდან აღებული პირები ყველანი უარყოფითი სახეები—ლურსაბ თათქარბიძე, დათიკო, ბატონი «კაკო ბლაჟი-აშვილში», ახნაურიშვილის ქვრივი და სხვები. ხოლო გლეხები გაბო, კაკო, ზაქრო, გიორგი. ოთარანთ ქვრივი პატიოსანი, მშრომელი და მომქმედი ხალხია.

ჩვენს მწერლობაში არავის დაუხატავს ასეთის სიყვარულით და თანაგრძნობით ქართველი გლეხის სახეები. პოეტის მთელი იმედი მათზეა დამყარებული და თუ თავდა-ახნაურობა, ოდესღაც მესვეური საქართველოს თვითარსებობისა და კულტურის, მოიღალა დღეს, არაფერს აკეთებს, გადაგვარებისკენ მიექანება, არის ხალხი, გლეხობა, რომელსაც სავსებით ძალუძს ერის აღორძინება და ახალი საქართველოს შექმნა. როდესაც ვხედავთ კაკოსა და ზაქარისთანა მებრძოლთ თავისუფლებისათვის, გიორგისთანა პატიოსანს, სიმართლის მოყვარულს, გამრჯელ გლეხებს, ოთარანთ ქერივისთანა მტკიცე და გაუტეხელ დედებს, ჩვენც გვეძლევა პოეტთან ერთად სრული რწმენა საქართველოს მომავლისა. მათში მოხსანს სწორედ ის სულიერი ძალა ქართველი ერისა, რომლის მეოხებით მან შესძლო ათასგვარ უბედურების გადატანა და დღემდის მოიტანა თავისი ეროვნული ცხოვრება. და ესაა თავდები იმისაც, რომ დღევანდელი გაჭირვებაც ვერ გასტეხს ქართველ ხალხს და ის თავს დააღწევს განსაცდელს.

ილ ჭავჭავაძე მაღიდეველი ეროვნებისა, გამსჯეალული უადრესად მამულიწვილიურის ალტყინებით, გვევლინება ჩვენ უდიდეს დემოკრატად, ხალხის, დემოსის მოტრფიალედ. მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა. წინად სხვა ორგანიზაცია ჰქონდა ეროვნულ ცხოვრებას; დღეს სხვა პირობებია და მისთვის საჭიროა შესაფერისი ფორმები—დემოკრატიული, ხალხისური. მხოლოდ ამას ეკუთვნის მყოლობადი. ასეთ დასკვნამდის მიდის ჩვენი პოეტი არა რაიმე თეორიული მოსახრებით. ამას უქარნახებს საქართველოს სინამდვილის შესწავლა და ის ეროვნული პრობლემა, რომლის გადაჭრას ემსახურებოდა მთელი თავისი სიცოცხლე. ყველაზე უზენაესია ერი, ეროვნების განთავისუფლება და განმტკიცება, ამას უნდა დაემქვემდებაროს სხვა ყველაფერი. ილიაც თავის სოციალურ და პოლიტიკურ გეგმას უმორჩილებს ამ ეროვნებას: ის თუა ხალხთან, მხოლოდ იმიტომ, რომ არის ერის მოყვარე, პატრიოტი, ამ სიტყვის უკეთილშობილესი მნიშვნელობით.

ილ. ჭავჭავაძემ რამდენიმე თაობით წინ გაუსწრო თავის დროს. მოითხოვს არა თუ გლეხობის და საერთოდ «შრომის შვილების» (როგორც თვითონ ამბობს) ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას—რაც მისთვის ეროვნული საჭიროების მოთხოვნისაა. იგი იხედება მომავალში, სადაც ხედავს «შრომის ახსნას»: დაიმსხვრევა ბოროლი, შემფერხებელი კაცთა ცხოვრების, «და ახალ ნერგზედ ახლად შობილი ესე ქვეყანა კვლავ აყვავდების». დადგება სუფევა შრომის, ნიჭთა მფენელი თანასწორად ყველასათვის; «მის მაღლით წარწყმდეს ძარცვა, დარბევა და ერთგან სძოდვდეს ცხვარი და მგელი. მაშინ უქმ სიტყვად არ იქნებიან ძმობა, ერთობა, თავისუფლება, ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან კაცთ მოყვარება და სათნოება. მაშინ განკაცდები შენც, მიმართავს ილია შრომის შვილს:

არც ვის ემონვი და არც ვის იმონებ.  
დაბლად დულუნი დაღონებული,  
მღერა, ვით კენესა, საწყალი მენრის,

შორი ხმა მწყემსის დაობლებული—  
მხიარულ ხმებად გარდაგეცვლების  
და შენს გუთანზედ გული ღმობილი  
იტყვი სიმღერას თავისუფლების,—  
ეგ სიმღერაა ვით ლოცვა ტკბილი!..

ილიას აქვს ლექსები, რომელთაც შეიძლება ვინმემ სოციალისტურიც უწოდოს. არა, ილია ჭავჭავაძის პირით ეს მხოლოდ და მხოლოდ პატრიოტულია. მას თავდავიწყებამდე უყვარს მარტოოდენ თავისი ერი და უნდა, რომ მისი სამშობლო იყოს თავისუფალი, შრომასა და ცოდნაზე დამყარებული, სიმართლის მატარებელი, შემომქმედი და წინ მსვლელი მარად და მარად...

ერთ თავის ლექსში ილია გვეუბნება:  
ავგიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველის ბედმა  
და დაე, გვძრახონ, ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი!

შეიძლება, მის ახლო მყოფთ ზოგიერთებმა მართლაც უსაყვედურეს იმ სიმწარისათვის, რომელიც არა ერთს მიაყენა თავის ეროვნულ მოღვაწეობაში. მაგრამ დღეს ჩვენ, ქირის მნახველთ და საკუთარის ტკივილებით მშობელი ერის ტანჯვასთან გადაჯაჭვულებს, შეგვიძლია მხოლოდ ღრმა შვილური მადლობით მივიღოთ მისი განცდები, მისი ძიებანი, მისი მისწრაფებანი და განვამტკიცოთ ჩვენი ბრძოლა აწინდელი, სამშობლოს იმ უშრეტელ სიყვარულით, რომელიც დიდებულად აშუქებს ილიას ყოველ ზრახვას და საქმეს. შევსძლოთ ჩვენც ყოველი ჩვენი საქმე დაუუმორჩილოთ სამშობლოს ეროვნულ პრობლემას...

ს. გ.

### ეპოვნული მოძრაობა მაჰმადიანთა შორის

დასავლეთის ვაკლემა.

დასავლეთისა და აღმოსავლეთის გადაბმა მხოლოდ მე 19 საუკუნევიდან იწყება. ხალხები, რომელნიც ორმოცდაათი წლის წინად იმავე ცხოვრებას მისდევდნენ, როგორც ოცდაათის საუკუნის წინდღეს ჰკითხულობენ გაზეთებს, ელექტრონის ტრამვაით დადიან თავიანთ საქმეებისათვის; რკინის გზა, ფოსტა, ტელეგრაფი და ტელეფონი ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა მათთვის. გარეგანი კულტურა, მეტადრე ყოველივე მექანიკური გაუმჯობესება, რასაკვირველია, უფრო ჩქაოა ვრცელდება, ვიდრე ახალი აზრები. ამათ ელობება ძველი ჩვეულებანი და მტკიცედ ჩანერგილი მამა-პაპათა ზნე და რწმენანი. ვინმე ინდოელ რაჯა ან ოსმლო ფაშა, რომელსაც ევროპაში მიუღია განათლება, თავისუფლად ლაპარაკობს რამდენსამე ევროპიულ ენას, ევროპიულად იცვამს და ხშირად დაიარება ევროპაში, პირველ დანახვანე სავსებით გაევროპიულებულად ეჩვენება კაცს, მაგრამ ამ გარეგნობის უკან ხშირად იმალება აღმოსავლეთის ღრმად ჩამჯდარი ზნე და თვისებანი.

ასეც უნდა იყოს, რადგან ევროპიული ცივილიზაცია და კულტურა განვითარდა თავისთავად, ნო-

რმალურად და თანდათან, მაშინ როდესაც აღმოსავლეთი, რომელსაც თავის კულტურა ჰქონდა, სხვის კულტურის და ცივილიზაციის შეთვისებას შეუდგა, აქ ორი სხვადასხვა კულტურა ერთმანეთში ირევა და აქედან წარმოდგება ხშირად წინააღმდეგობა, შეუფერებლობა; მამებს შვილების ვერა გაუგიათ რა, შვილები მამებს უწუნიებენ აზრებსა და ქცევას.

დასავლეთის აღმოსავლეთზე გავლენის უმთავრესი ფაქტორია დასავლეთის პოლიტიკური ბატონობა. დაუძღურებულმა და ჩამორჩენილმა აღმოსავლეთმა ვერ გაუძლო პოლიტიკურ და ეკონომიურ ორმაგ ბატონობას. მართალია, ზოგიერთი აღმოსავლეთის ქვეყანა ერთბაშად იქნა დამპყრობილი იარაღის საშვალებით, მაგრამ უფრო ხშირად ბატონობა იწყებოდა იმ ეკონომიურ პროცესით, რომელსაც ამჟღავნებდა «შესვლას» ეძახიან.

სამართლიანია თუ უსამართლო ეს ბატონობა დასავლეთისა აღმოსავლეთზე? ბევრი დაწერია ამ კითხვის სასარგებლოთ და საწინააღმდეგოდ. ჩვენ ამ საკითხს არ ვეხებით, ოღონდ რაც უტყუარია, ეს ის, რომ ასეთი ბატონობა აუცილებელი იყო.

ორ ქვეყნიერებას შუა, რომელთაგან სიოცნლით სასვე დასავლეთი კაცობრიობის წინსვლას უდგას სათავეში, ხოლო დაუძღურებელი აღმოსავლეთი სადათას ძილს მისცემოდა, ადვილი წარმოსადგენია, პირველი უნდა დაპატრონებოდა მეორეს.

ჩვენ უფრო გვინტერესებს მეორე საკითხი, რა გავლენა ჰქონდა პოლიტიკურ ბატონობას აღმოსავლეთის გავეროპილებაზე; იქვე გარეშეა, რომ პირველი დიდად უწყობდა ხელს მეორეს, დამპყრობლის პირდაპირი ინტერესი მოითხოვდა, რათა დამპყრობილი ხალხი დაეახლოვებინა და მეტი მოგება ენახა დაპყრობილ ქვეყანაში, რომ ამ ქვეყანაში მშვიდობიანობა და კეთილდღეობა დამყარებულიყო. ამისათვის საჭირო იყო ადგილობრივი სისხლის ღვრის მეტის არაფრის მცოდნე, ყოველივე პროგრესის დამხმარებელი დესპოტიზმი შეეცვალა ისეთის მთავრობით, რომელიც დაიცავდა წესიერებას, წაახლისებდა შრომას და მფარველობას გაუწყვედა და შეიტანდა ყოველსავე გაუმჯობესობას, რკინის გზას, ფოსტას, სკოლას, ჰიგიენას და სხვ. ასეთი იყო დასავლეთ იმპერიალიზმის აზრი. შეიძლება, რასაკვირველია, ითქვას, რომ აღმოსავლეთი თავის ნებით შესდგებოდა განვითარების გზაზე, მაგრამ დასავლეთის ჩაუოველად ეს განვითარება მეტად ნელი იქნებოდა. ჩვენის აზრით დასავლეთის ჩარევა კი არ არის თავისთავად გასაკიცხი, არამედ ჩარევის მეთოდები. უნდა გავარჩიოთ მე 19 საუკ. იმპერიალიზმი მე 20 საუკუნის იმპერიალიზმისაგან. პირველი აუცილებელი იყო და სავრთოდ კეთილგანწყობილიც, რაც არ ითქმის მეორეს შესახებ. მეოცე საუკუნის დასაწყისს აღმოსავლეთელი ხალხები უკვე საკმაოდ მხათ იყვნენ ახალ გზას გაპყლოდნენ. საჭირო იყო დასავლეთს ანგარიში გაეწია ასეთს მდგომარეობისათვის და მეტი თავისუფლება დაეთმო მათთვის.

ეს არ მოხდა: მე 19 საუკ. ლიბერალურმა იდეალიზმმა ადგილი დაუთმო იმ სასტიკ ქიშპობას, კოლონიების ამ გამწარებულ ძებნას, ამ კოლონიებში იმ უპირატესობის მოხვეჭას, რომელმაც ბატონობის განვლების მაგიერ აღმოსავლეთს უფრო აგრძნობინა დასავლეთის მუხრუჭი.

ამ მეოცე საუკუნის იმპერიალიზმა გააძლიერა აღმოსავლეთში დასავლეთისადმი მტრული განწყობილება.

მართალია ევროპელების ბატონობამ დიდად გაუთმჯობესა აღმოსავლეთის მასების ცხოვრების პირობები და თითქო მათი გული უნდა მოეგო, მაგრამ აღმოსავლეთის ფსიქოლოგია იმდენად განსხვავდება ევროპელებისაგან, რომ ეს არ მოხდა, და გუშინდელი მონა, დღეს რომ ადამიანურ პირობებში შეიქნა ჩაყენებული, მაინც დასტირის «ძველ ბედნიერ დროს». აღმოსავლეთი იე ადვილათ ვერ ითვისებს დასავლეთის წარმოდგენას თავისუფლებაზე, კანონიერებაზე თუ საზოგადოდ ცხოვრების პირობებზე, და ეს გარეშეა დამატებით იმისა, რომ ევროპეული იმპერიალიზმი მე 20 საუკ. უფრო მრისხანე გახდა, ხელს უწყობს იმ უნდობლობას და მტრულ განწყობილებას, რომელიც მუდამ არსებობდა აღმოსავლეთში. დასავლეთმა გააძლიერა აღმოსავლეთი, მაგრამ ეს უკანასკნელი არასდროს არ გავეროპიელდა სავსებით. მას აქვს თავისი ცუდი მხარეები, რომელნიც უნდა გაჰქრენ, მაგრამ აქვს კარგი მხარეებიც, რომელნიც უნდა შეზავდნენ დასავლეთის კულტურის კარგ მხარეებთან და შექმნან ახალი აღმოსავლეთური სახე.

ერთი ზედმეტი მიზეზი სიძულვილისა, რომელსაც იჩენს აღმოსავლეთის ხალხი ევროპელებისადმი, გარდა იმისა, რომ ეს უკანასკნელი ბატონად მიჩნია, არის განსხვავება რასული. აზიის ხალხები ძმებად სთვლიან ერთმანეთს და უპირდაპირებენ თავიანთ თავს ევროპელებს.

ამრიგად არსებობს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის განსხვავება პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური და რასული და ეს ართულებს ამ ორ ქვეყნიერებას შუა ურთიერთობას და აძნელებს აღმოსავლეთის გავეროპილებას. გავეროპილება კი მაინც სწარმოებს, ცხადია, რომ ევროპელთა ბატონობა, რამდენსაც უნდა გაგრძელდეს, ვერ ჩაითვლება საბოლოოდ დამკვიდრებულად, ევროპეული მუდამ უცხოელი დარჩება აღმოსავლეთისათვის. აღმოსავლეთ დასავლეთის გაერთიანების აზრით სისხლის აღრევა კაცობრიობას გადაგვარების გზაზე დააყენებდა; ამიტომ თუ არც სრული გაერთიანება და ერთ ხალხად გარდაქმნა შეიძლება, არც ბატონობის სამუდამოდ შენახვა. საჭიროდ რჩება იმ ფორმების გამოძებნა, რომელშიაც უნდა ჩამოყალიბდეს აღმოსავლეთ დასავლეთის ურთიერთობა.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა მ გ ე მ ი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გურიაში. სოფ. ზოტის მახლობლად აღმოაჩინეს გოგირდის აღმადანის მდიდარი საბუდეები.

— ამ კავ. რკინის გზებზე ტვირთების მტაცებლობამ ფართო ხასიათი მიიღო. იანვრიდან პიოველ აგვისტომდე ბარგის და ტვირთის მტაცებლობის 820 შემთხვევა აღმოაჩინეს. მტაცებლობას ეწევიან როგორც ცალკე პირები, ისე მოწყობილი «მაიკები». იტაცებენ მანუფაქტურას, შალისა და ბამბის ქსოვილებს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელებს, გალანტერიას და უმთავრესად იმ ტვირთებს, რომლებიც დანიშნულია ფაბრიკა-ქარხნებისა და დამკვერელ მშენებლობათა მუშების, კოლმეურნეების და საბჭოთა მეურნეობების მუშათა მომარაგებისათვის.

— საქართველოს მწერალთა მუხეუმმა შეიძინა ილია ჭავჭავაძის 200 გამოუქვეყნებელი წერილი და ორი რვეული ლექსებისა, რომელთა ნაწილი გამოუქვეყნებელია. — 6. სულხანიშვილმა მუხეუმს გადასცა არქივი, რომელიც შეიცავს დიმი. ყიფიანის მიწერ-მოწერას (500-მდე წერილს).

— გაიხსნა ელექტრონით მოძრაობა ხაშურიდან ხესტაფონამდე.

კ ა ვ კ ა ს ი ა შ ი

სტამბოლიდან იტყობინებიან: ბაქოდან მიღებულ ცნობით, ანტისაბჭოთა მოძრაობამ კავკასიაში კვლავ ფართო ხასიათი მიიღო. ასე ხდება ყოველ შემოდგომაზე. მკვიდრნი თავს იცავენ ბოლშევიკური ხელისუფლების აგენტების მძარცველობისაგან და სოფლებში გახშირდა შეტაკებანი ჯართან. გლეხები მცირე რაზმებს აღდგენენ 5-10 კაცისაგან და ხან აქ ესხმიან თავს კომუნისტებს და ხან იქ. აფუქებენ რკინის გზას, სძარცვავენ პურის საწყობებს, რის შემდეგ ასეთს განცხადებას აკრავენ კვლელებზე: გლეხებო, არ დაივიწყეთ ლენინის ანდერძი: «ძარცვეთ ნაძარცვიო!»

უკრაინელთა შორის

გასულ თვეს ვენაში გაიმართა დიდი ომის ყოფილ ჯარისკაცთა საერთაშორისო კონგრესი. რომელზედაც სხვათა შორის დაესწრენ პოლონეთის უკრაინელთა წარმომადგენელნიც. ფრანგ და გერმანელ დელეგატების შემდეგ სიტყვა მოითხოვა უკრაინელმა და განაცხადა: ფრანგები და გერმანელები მოითხოვთ საფრანგეთ გერმანიის მორიგებას, რათა მშვიდობიანობა დამყარდეს. ეს ჭეშმარიტებაა, რამდენად საქმე შეეხება დასავლეთ ევროპას, ხოლო აღმოსავლეთ ევროპაში მშვიდობიანობა არ ჩამოვარდება, ვიდრე რუსეთს დამოუხმებელი ყავს უკრაინა, საქართველო, დანარჩენი კავკასია, თურქესტანი და სხვ. ამიტომ უნდა მოითხოვოთ ამ ქვეყნების განთავისუფლება ბოლშევიკებისაგან. კონგრესმა ერთხმად მიიღო უკრაინელის წინადადება.

ძარტველები საფრანგეთში

საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაციის გამგეობამ შემდეგი წერილი დაუგზავნა ყველა ქართველს:

«პატივცემულო ბატონო, ამ უკანასკნელ დროს საფრანგეთის მთავრობა იძულებული გახდა უცხოელთა მიმართ განსაკუთრებული ზომები მიეღო.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ყოველი ქართველი იბრუნებს თავისი პირადობის მოწმობანი წესრიგზე იქონიოს, წინამდებ შემთხვევაში, როგორც ამას ბევრი მაგალითი გვიჩვენებს, მოსალოდნელია მდგომარეობის გართულება და საფრანგეთიდან გადასახლება:

ეს მოვლენა ჩვენ გვიკარნახებს ფხიზლად დავდგეთ ჩვენი ასოციაციის სადარაჯოზე და შევასრულოთ ის წესდება, რომელიც სათანადო უწყების მიერ არის დამტკიცებული. ამ წესდების ძალით (საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაციის) წევრობა შეუძლია თვითველ ქართველს, რომელიც აღნიშნულ წესდებას იზიარებს და იხდის საწევრო გადასახადს—წლიურად 25 ფრანკს. ამ პირობის გარეშე იგი არ ჩაითვლება ასოციაციის წევრად და არც გადამწყვეტი ხმის უფლება ექნება. ამასთანავე ასოციაციის გამგეობას გაუქმელდება მფარველობა გაუწიოს იმ პირს, რომელიც მისი წევრი არ არის.

ასოციაციის გამგეობას განზრახვა აქვს მისცეს თვითველ წევრს დაბეჭდილი ბარათი (კარტა) წევრობის შესახებ, რაც მისი ეროვნული ვინაობის აღმნიშვნელიც იქნება.

გაცნობებთ რა ამას, გთხოვთ შეგვატყობინოთ, გსურთ თუ არა—დაუყონებლივ მოავაროთ თქვენი წევრობის საკითხი «საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაციის» წესდების თანახმად, ესე იგი გამოაგზავნოთ თქვენი განცხადება წევრობის სურვილის შესახებ, თქვენი მისამართი და წლიური საწევრო გადასახადი 25 ფრანკი (პირველი გადასახადი 5 ფრანკი და დანარჩენი არა უგვიანეს 1 დეკემბრისა 1932 წ. ამასთან ერთად საპირთა ვიცოდეთ თქვენი ოჯახური შემადგენლობა.

გთხოვთ პასუხი შეგვატყობინოთ შემდეგი მისამართით (ან კრებანზე):

V. NOZADZÉ  
39, B-rd Jean Jaures. Boulogni s. Seine».

გვთხოვენ გამღვაწხადღოთ:

საქ. ს.-დ. პარტიის საზღვარგარეთელ ბიურომ მიიღო პრალიდან იქაურ ამხანაგებში შეგროვილი პოლიტიკ. გადასახლებულთა სასარგებლოთ ორასი ჩებ. კრონა (200 ჩებ. კრ.).

ახლად გამოსული ფრანგ. წიგნი ქართ. ენის შესახებ  
N. Marr et M Brière  
La langue géorgienne  
ღირს 185 ფრ. და მისი შეძენა შეიძლება პარიზში:  
Librairie de Paris Firmin-Didot et C<sup>ie</sup>. 56, rue Jacob.